საქართველოს
ახალგაზრდა
იურისტთა
ასოციაცია

2020

წლიური ანგარიში

კანონის უზენაესობა სამართლიანობისთვის

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

2020 წლიური ანგარიში

გამოცემაზე პასუხისმგებელი: ირმა პავლიაშვილი, ხათუნა ყვირალაშვილი

დიზაინი: თეონა კერესელიძე

© საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2020

სარჩევი

მისასალმებელი სიტყვა 4

ვინ ვართ და რას ვაკეთებთ 8

ადამიანის უფლებები 9

- თანასწორობა 10
- სოციალური პოლიტიკა 14
- სისხლის სამართლის მართლმსაჯულება 19
- მედია 23

დემოკრატიული ინსტიტუტების მხარდაჭერა 29

- საპარლამენტო კონტროლი 30
- მართლმსაჯულების რეფორმა 31
- საჯარო მმართველობა 33
- ადგილობრივი თვითმმართველობა 35
- არჩევნები 35

სამართლებრივი დახმარება 39

- მოგებული საქმეები 41
- გამოცემები 45
- სტრატეგიული სამართალწარმოება საკონსტიტუციო სასამართლოში 46
- სტრატეგიული სამართალწარმოება საერთაშორისო მექანიზმებში 49
- აღსრულების მექანიზმების გამოყენება 50
- ჰააგის სასამართლოს საქმიანობის და საქართველოს სიტუაციის გამოძიების ხელშეწყობა 52

სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება 53

მედიამონიტორინგი 57

ფინანსური ანგარიში 59



საიას ძვირფასო წევრო!

წელს უკვე მესამედ მოგესალმებით საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარის სტატუსით. როგორც წესი, ეს მისალმება, ერთდროულად, პატივიც არის და პასუხისმგებლობაც.

ალბათ ახალი არ იქნება, თუ ვიტყვი, რომ საიასთვის 2020 წელი, ისევე როგორც თითოეული თქვენგანისთვის, განსხვავებული და გამოწვევებით სავსე იყო. თუმცა, გამოწვევაც არის და გამოწვევაც. სხვა ყველაფერთან ერთად, ეს წელი COVID-19-ის სახელით შევა ისტორიაში. ყველა ჩვენს აქტივობას თან სდევდა კოვიდრეალობა და სირთულეები.

კოვიდმა შეცვალა ჩვენი ყოველდღიური საქმიანობის წესი. ბევრი ღონისძიება და შეხვედრა რეალური სივრციდან ვირტუალურში გადავიტანეთ. ათიათასობით ადამიანმა, რომლებიც კონსულტაციისა და კვალიფიციური იურიდიული დახმარების მიღების მიზნით ყოველწლიურად საიას ოფისებს აკითხავდნენ, რეალურიდან ვირტუალურ სივრცეში გადაინაცვლეს. დიდი ხნის განმავლობაში მოგვიწია ოფისების დაკეტვა და საქმიანობის დისტანციურ რეჟიმზე გადატანა. ამის მიუხედავად, პანდემიის პირობებში გაწეული ჩვენი კონსულტაციებისა თუ სხვა იურიდიული დახმარებების სტატისტიკა შთამბეჭდავია. საანგარიშო პერიოდში 23,000-ზე მეტი ბენეფიციარისთვის გაწეული დახმარება, წარმოებაში არსებული 300-ზე მეტი და წარმატებით დასრულებული ათეულობით საქმე, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე, თავად მეტყველებს იმ მუშაობის შედეგზე, რომელიც პანდემიის დროსაც არ შეწყვეტილა. მჯერა, რამდენ ხანსაც არ უნდა მოგვიწიოს ცხოვრება და საქმიანობა კოვიდპანდემიის რეჟიმში, საია კვლავ გააგრძელებს კონსულტაციებს და კვალიფიციურ იურიდიულ დახმარებას.

მთელი წლის განმავლობაში ადამიანის უფლებების მიმართულებით ორგანიზაცია აქტიურად მუშაობდა ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიც არის: თანასწორობა, სოციალური პოლიტიკა, სისხლის სამართლის მართლმსაჯულება და მედია. წარმოდგენილ ანგარიშში ნახავთ საკითხების მთელ წყებას, რომელიც კონკრეტულ ჯგუფებთან დაკავშირებით ქვეყანაში არსებულ სისტემურ პრობლემებს ასახავს. ქალების, ლგბტქი პირების, ბავშვების, დევნილების, რელიგი-

ური ჯგუფების, ეთნიკური უმცირესობების, შშმ პირების, ოკუპირებულ ტერიტორიებსა და მათ მიმდებარედ მცხოვრები ადამიანების უფლებრივი მდგომარეობის კვლევა და მათი დახმარება - ეს მხოლოდ მცირე ჩამონათვალია იმ აქტივობებისა, რომელი მიმართულებითაც საია საანგარიშო პერიოდში საქმიანობდა. ცალკე უნდა აღინიშნოს ორგანიზაციის მიერ შრომის კანონმდებლობისა და გარემოს დაცვის კუთხით გაწეული ძალისხმევა, ასევე, საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის გაგზავნილი მორიგი თუ სპეციალური ანგარიშები.

საიას სტრუქტურული რეფორმის ერთ-ერთი ხელშესახები შედეგი ორგანიზაციის მიერ დემოკრატიული ინსტიტუტების მხარდაჭერის მიმართულებით გაწეული საქმიანობაა. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ საპარლამენტო კონტროლის კუთხით ორგანიზაციის მიერ მომზადებული კვლევა კიდევ დიდხანს იქნება აქტუალური. ტრადიციულად, აქტიურები ვიყავით მართლმსაჯულების და საჯარო მმართველობის მიმართულებით. ჩვენი საქმიანობა განსაკუთრებით ფოკუსირებული იყო 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებზე. მიუხედავად სირთულეებისა, ამ არჩევნებზე საიას სადამკვირვებლო მისია მასშტაბური და ყველაზე შთამბეჭდავი აღმოჩნდა.

მისასალმებელი სიტყვის დასაწყისში აღვნიშნე, რომ საიას თავმჯდომარის სტატუსით მისალმება, ერთდროულად, პატივიც არის და პასუხისმგებლობაც. გულწრფელობისთვის, მინდა ვთქვა ისიც, რომ წელს მას კიდევ ერთი - სევდა ემატება. სევდა იმიტომ, რომ ეს ჩემი ბოლო მისასალმებელი სიტყვაა ამ სტატუსით.

სამი წლის წინ, როდესაც გამგეობამ პირველად გამომიცხადა ნდობა და საიას თავმჯდომარის პოზიციაზე ამირჩია, ბევრი გეგმა, იდეა და მოსაზრება მქონდა. ცხადია, ვერ და არ ვიტყვი, რომ ყველაფრის გაკეთება შევძელი, თუმცა თანამშრომლების, გამგეობის და საიას წევრების მონაწილეობით რამდენიმე ხელშესახები ცვლილება მაინც გვაქვს. თქვენი ნებართვით, აქ მხოლოდ რამდენიმეს გამოვყოფ - ორგანიზაციის ახალი სტრუქტურა, რომელმაც, სამართლებრივი დახმარების პარალელურად, ადამიანის უფლებების და დემოკრატიული ინსტიტუტების მხარდაჭერის მიმართულებების გაძლიერების შესაძლებლობა მოგვცა. ანაზღაურების და თანამშრომელთა შეფასების ახალი სისტემა, საიას წევრთა დაზუსტებული და განახლებული სიაც ხანგრძლივი და შრომატევადი საქმიანობის შედეგია.

მინდა, მადლობა ვუთხრა ყველას, ვისთან ერთადაც მუშაობის ბედნიერება მქონდა - საიას თანამშრომლებს, გამგეობას, ჩვენს წევრებს, დონორებს და კოლეგებს სამოქალაქო სექტორიდან; თითოეულ ბენეფიციარს, ვისაც ჩვენი სჯეროდა და ვეიმედებოდით; ვინც მხარს გვიჭერდა და გვაკრიტიკებდა; ვისაც ჩვენი წარმატება უხაროდა და წარუმატებლობა სწყინდა. ვამაყობ, რომ მქონდა შესაძლებლობა, სამი წლის განმავლობაში ვყოფილიყავი საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარე და მნიშვნელოვანი საქმეები თქვენთან ერთად მეკეთებინა.

.ჯანმრთელობის და უკეთესი ქვეყნის სურვილით,

სულხან სალაძე

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარე


ზუგდიდის ოვილი
2014
ოზურგეთის ოვილი
2001
აჭარის ვილიალი
1995
ჭუთაისის ვილიალი
1996

საბას ოფისების დაარსების წლები:

თბილისის ოფისი -1994 წელი
აჭარის ფილიალი -1995 წელი
რუსთავის ოფისი - 1995 წელი
ქუთაისის ფილიალი -1996 წელი
გორის ოფისი - 2000 წელი
ოზურგეთის ოფისი - 2001 წელი
თელავის ოფისი - 2002 წელი
დუშეთის ოფისი - 2002 წელი
ზუგდიდის ოფისი - 2014 წელი



ვინ ვართ და რას ვაკეთებთ

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია წევრობაზე დაფუძნებული ორგანიზაციაა, რომელიც დაახლოებით 400 წევრს აერთიანებს. საია 1994 წელს დაფუძნდა და მას შემდეგ თანდათან აფართოებს სამოქმედო არეალს. დღეისთვის ორგანიზაცია 9 ოფისის მეშვეობით მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე ოპერირებს. მისი საქმიანობის ძირითადი მიზანია ადამიანის უფლებების დაცვა და კარგი მმართველობის ხელშეწყობა საქართველოში.

ორგანიზაციის ზრდასთან ერთად წარმოიშვა სტრუქტურული ცვლილებების საჭიროება, რათა საიას საქმიანობის სტანდარტი შესაბამისობაში მოსულიყო დონორების ახალ მოთხოვნებსა და სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციის (CSO) ეკოსისტემის ცვლილებებთან. 2016 წელს, საქართველოში USAID-ის ადამიანური და ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარების HICD 2020 პროექტის მხარდაჭერით, საიას საქმიანობა შეფასდა ადამიანური და ინსტიტუციური განვითარების კუთხით. შედეგად, შემუშავდა რეკომენდაციები და უკვე 2018 წლიდან დაიგეგმა რეფორმის ორი ფაზა. პირველი ფაზა მოიცავს ორგანიზაციის სტრუქტურის ცვლილებას, ხოლო მეორე – საკადრო პოლიტიკის დახვეწას, რეგიონული ოფისების განვითარებისა და კომუნიკაციის სტრატეგიების შემუშავებას.

სტრუქტურული ცვლილებების შესაბამისად, ფინანსური და ორგანიზაციული საკითხების კოორდინაციის უფლებამოსილება გადაეცა ადმინისტრაციულ დირექტორს, ხოლო პროექტულ საქმიანობას საია სამი პროგრამული მიმართულების ფარგლებში ახორციელებს. ეს პროგრამებია:

- ადამიანის უფლებების დაცვა
- დემოკრატიული ინსტიტუტების მხარდაჭერა
- სამართლებრივი დახმარება

საიაში რეფორმის პროცესი შემდეგ საანგარიშო წელსაც გაგრძელდება.

ამჯერად კი, წესდებისა და დამკვიდრებული ტრადიციის შესაბამისად, წარმოგიდგენთ საიას თბილისისა და 8 რეგიონული ოფისის მიერ განხორციელებული საქმიანობის 2020 წლის ანგარიშს.

საანგარიშო პერიოდი: 2019 წლის 1-ლი ნოემბერი – 2020 წლის 1-ლი ნოემბერი.

1

ადამიანის უფლებები

ადამიანის უფლებების დაცვა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ერთ-ერთი ძირითადი სტრატეგიული ამოცანაა. ორგანიზაცია სწავლობს ამ კუთხით ქვეყანაში არსებულ ვითარებას, აანალიზებს გამოწვევებს და ხელს უწყობს ცვლილებებს პოლიტიკის დონეზე.

ადამიანის უფლებების დაცვის პროგრამა 4 პრიორიტეტული მიმართულებით მუშაობს:

- თანასწორობა
- სოციალური პოლიტიკა
- სისხლის სამართლის მართლმსაჯულება
- მედია

თანასწორობა

მოწყვლადი ჯგუფების უფლებრივი მდგომარეობის შესწავლა და ამ კუთხით საქართველოში არსებული სიტუაციის შეფასება კვლავ რჩება საიას ერთ-ერთ ძირითად აქტივობად. ორგანიზაციის მონაწილეობით „კოალიცია თანასწორობისთვის“ ფარგლებში მომზადდა რიგით მეოთხე ანგარიში „დისკრიმინაციის დაცვის უფლების განხორციელება სხვადასხვა ჯგუფისთვის საქართველოში“. გამოცემა აღწერს 10 ჯგუფის უფლებრივ მდგომარეობას დისკრიმინაციის კუთხით 2019 წლის განმავლობაში.

საანგარიშო პერიოდში საია დამოუკიდებლად ან კოალიციურად ავრცელებდა განცხადებებს კონკრეტული ჯგუფების უფლებრივ მდგომარეობასთან დაკავშირებით, აქტიურად იყო ჩართული საკანონმდებლო საქმიანობაში და თანასწორობის მიმართულებით არსებულ საკანონმდებლო წინადადებებსა თუ ინიციატივებზე პარლამენტში წარადგენდა პოზიციებსა და მოსაზრებებს.

კონკრეტულ ჯგუფებთან დაკავშირებით გამოიკვეთა შემდეგი სისტემური პრობლემები:

ქალები: სექსუალური ძალადობა გენდერული ძალადობის ერთ-ერთ ყველაზე მძიმე, დაფარულ და დაუსჯელ ფორმად რჩება. საანგარიშო პერიოდში არ გატარებულა შესაბამისი ზომები ქალთა ეკონომიკური გაძლიერების კუთხით. მეტიც, პრობლემურია ამ მიმართულებით სათანადო ხედვისა და ცნობიერების არარსებობა.

საანგარიშო პერიოდში საიამ წარადგინა მოსაზრებები სქესობრივი თავისუფლების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების საკანონმდებლო პაკეტთან დაკავშირებით. ორგანიზაციამ დადებითად შეაფასა საქართველოს პარლამენტის ინიციატივა, თუმცა, ცვლილებებიდან გამომდინარე, კიდევ ორი საკითხის დამატება შესთავაზა - აბორტის იძულებისა და იძულებითი აბორტის კრიმინალიზება - რომელთა ეროვნულ კანონმდებლობაში ასახვის ვალდებულება სახელმწიფომ ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს (სტამბოლის კონვენცია) კონვენციით აიღო, თუმცა დღემდე არ შესრულებულა.

ლგბტქი: ლგბტქი პირები კვლავ აწყდებიან არაერთ სისტემურ დაბრკოლებას საზოგადოებაში მათ მიმართ არსებული სტერეოტიპებისა და სტიგმის გამო. გასული წლების მსგავსად, კვლავ ხდება სიძულვილით მოტივირებული დანაშაულები. პრობლემაა ლგბტქი ჯგუფისთვის შეკრებისა და მანიფესტაციის უფლების, გამოხატვის თავისუფლების რეალიზება.

ბავშვები: ბავშვის უფლებათა კოდექსის მიღებით 2019 წელს მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა. მიუხედავად იმისა, რომ ის ქმნის ჩარჩოს ქვეყანაში ბავშვის უფლებების დაცვის მიმართულებით, აღსრულების შესაბამისი ეფექტიანი მექანიზმების გარეშე შეუძლებელია პრაქტიკაში მისი დებულებების შესრულება. სოციალური დაცვის სისტემის კუთხით არსებული გამოწვევებისა და ბავშვის უფლებათა დარღვევების რეაგირებაზე პასუხისმგებელი სახელმწიფო უწყებების ხშირად არაეფექტიანი მუშაობის პირობებში, პრობლემად რჩება მათ მიმართ ძალადობა, სიღარიბე და ბავშვთა შრომა. ბავშვზე ზრუნვის სისტემის მთავარი გამოწვევაა ზრუნვის ალტერნატიული ფორმების სათანადო განვითარება და მათი ცხოვრება დიდი ზომის რეზიდენტულ დაწესებულებებში.



დევნილები: დევნილთა ნაწილს ამ დრომდე არ მიუღია საცხოვრებელი ფართი ან/და ცალკეულ დასახლებებში მათთვის გადაცემული ბინები არ შეესაბამება სათანადო საცხოვრებლის მინიმალურ სტანდარტს.

რელიგიური ჯგუფები: კვლავ აქტუალურია საქართველოში რელიგიისა და რწმენის თავისუფლებასთან დაკავშირებული საკითხები. კანონმდებლობაში რჩება თანასწორობის პრინციპის საწინააღმდეგო დისკრიმინაციული ნორმები. არსებობს გამოწვევები რელიგიური გაერთიანებების საკუთრების კუთხით. არ აღმოფხვრილა პრობლემები რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს მანდატისა და პოლიტიკის მიმართულებით.

ეთნიკური უმცირესობები: მნიშვნელოვანი პოზიტიური ცვლილებები არ შეხებია იმ სისტემურ გამოწვევებს, რომლებიც საქართველოში ეთნიკური უმცირესობების უფლებების დაცვისა და ინტეგრაციის მიმართულებით არსებობდა. Covid-19-ის გამო ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შემდეგ ამას დაემატა მათ მიმართ დისკრიმინაციული და სიძულვილის ენის შემცველი განცხადებები. საია, პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად, მოუწოდებდა საქართველოს მთავრობას და ქვეყანაში მოქმედ ტელევიზიებს, მიეღოთ ზომები სიძულვილის ენის, დისკრიმინაციული შინაარსის მქონე ინფორმაციისა და მიდგომების გავრცელების თავიდან ასაცილებლად.

ოკუპირებულ ტერიტორიებსა და მათ მიმდებარედ მცხოვრებთა უფლებები: საანგარიშო პერიოდში საია არაერთხელ გამოეხმაურა ოკუპირებულ ტერიტორიებსა და მათ მიმდებარედ მცხოვრები მოქალაქეების უფლებების შეზღუდვის ფაქტებს და იქ არსებულ კრიზისულ სიტუაციას. 2019 წლის 2 სექტემბერს სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლებამ მოსაბრუნის გამშვები პუნქტი თვითნებურად ჩაკეტა. ამ აკრძალვამ მძიმე ჰუმანიტარული მდგომარეობა შეუქმნა ახალგორში მცხოვრებ როგორც ქართველ, ისე ოს მოსახლეობას. ისინი სათანადო სამედიცინო დახმარების, საკვების, პენსიისა თუ სხვა აუცილებელი სერვისებით სარგებლობის შესაძლებლობის გარეშე დარჩნენ. მძიმე უფლებრივი მდგომარეობა და ჰუმანიტარული კრიზისი ნათლად წარმოაჩინა გამშვები პუნქტის თვითნებურად ჩაკეტვის შემდეგ არასათანადო სამედიცინო მომსახურების შედეგად ე.წ. საზღვრის მიღმა მცხოვრებ პირთა გარდაცვალების ფაქტებმა.

გარდა ზემოხსენებულისა, გრძელდება საოკუპაციო ზოლის მიმდებარედ ადამიანთა უკანონო და თვითნებური დაკავების მანკიერი პრაქტიკა. ყოველწლიურად ასობით საქართველოს მოქალაქე, მათ შორის ქალები და ბავშვები, ხდებიან გატაცების მსხვერპლნი. მათ, უმეტესად, ადმინისტრაციული წესით აკავებენ და გარკვეული თანხის სანაცვლოდ ათავისუფლებენ, თუმცა ბოლო დროს გახშირდა სისხლისსამართლებრივი წესით დაკავების შემთხვევებიც, რა დროსაც ადა-

მიანები წლობით ტყვეობაში რჩებიან. იკვეთება ადამიანის უფლებათა მძიმე დარღვევის ფაქტებიც, როგორიცაა სიცოცხლის უფლების ხელყოფა ან/და სხეულის დაზიანება.

შშმ პირთა უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში: საანგარიშო პერიოდში საიამ შეისწავლა საქართველოში არსებული სიტუაცია შშმ პირთა უფლებების რეალიზების თვალსაზრისით და გააანალიზა მათი შესაბამისობა გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციით (UNCRPD) დადგენილ სტანდარტებთან. კვლევა განხორციელდა ფონდ „პური მსოფლიოსთვის პროტესტანტული განვითარების სამსახურის“ (BFDW) მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში - „ყველაზე მოწყვლადი პირების და თემების სოციალურ-ეკონომიკური უფლებების დაცვა და ხელშეწყობა საქართველოში“.

ორგანიზაცია ასევე აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს პარლამენტში „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ“ ინიცირებული კანონპროექტის საჯარო და საკომიტეტო განხილვებში. საიას მიერ წარდგენილი მოსაზრებების საფუძველზე, კანონპროექტში გაითვალისწინეს შემდეგი ასპექტები: სპეციალური მოსარჩელის ინსტიტუტის შექმნა და ამ სტატუსის მინიჭება შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის; პერსონალური ასისტენტის მომსახურების მომწესრიგებელი ნორმების გაუმჯობესება; გონივრული მისადაგების ცნების განსაზღვრა და მისი აღიარება დისკრიმინაციის ერთ-ერთ ფორმად; უნივერსალური დიზაინის ცნების განსაზღვრა; საპარლამენტო კონტროლის მექანიზმის შექმნა საქართველოს მთავრობის მიერ შშმ პირთა უფლებების იმპლემენტაციის პროცესზე.

საიას მიერ შშმ პირთა უფლებების შესახებ კანონპროექტზე წარდგენილი კრიტიკული მოსაზრებები შეეხებოდა ისეთ საკითხებს, როგორიცაა: კანონპროექტის დეკლარაციული ხასიათი და სახელმწიფო უწყებების მიერ აღებული ვალდებულებების ნათლად ჩამოყალიბება; შშმ პირებისთვის დამატებითი სოციალური სერვისების შექმნის ვალდებულების არარსებობა; ფსიქიკური ჯანმრთელობა და დეინსტიტუციონალიზაცია; შშმ ქალთა უფლებების დაცვის დამატებითი გარანტიების შექმნა და ა.შ.

სოციალური პოლიტიკა

შრომის კანონმდებლობა

საანგარიშო პერიოდში საია აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს შრომის კოდექსში შესატანი ცვლილებების პროექტზე გამართულ საჯარო დებატებში, საქართველოს პარლამენტში მისი ინიცირების შემდეგ კი - საკომიტეტო განხილვებში.

საიას მიერ წარდგენილი მოსაზრებების საფუძველზე, შრომის კოდექსის პროექტში გათვალისწინებული იყო შემდეგი საკითხები: დასაქმებულის შრომითი დისკრიმინაციისგან დაცვის სამართლებრივი ჩარჩოს გაუმჯობესება და გონივრული მისადაგების ცნების განსაზღვრა; ნორმირებული სამუშაო დროის, შესვენებისა და დასვენების რეგულირება; სტაჟირების კომპონენტის ახლებურად მოწესრიგება და სტაჟიორისთვის დამატებითი სამართლებრივი გარანტიების უზრუნველყოფა; შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველზე წარდგენილი სარჩელის განხილვისა და სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების პროცედურის გაუმჯობესება; იძულებითი განაცდურის სრულად ანაზღაურება შრომითი ურთიერთობის შეწყვეტიდან სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებამდე. გარდა ამისა, ორგანიზაციის მიერ განხორციელებული აქტიური ადვოკატირების კამპანიის შედეგად, ინსტიტუციურად გაძლიერდა შრომის ინსპექცია და მისი მანდატი გავრცელდა შრომითი ურთიერთობისას ადამიანის უფლებების დარღვევის შემთხვევებზე.

საია ასევე აქტიურად ადვოკატირებდა შრომის კოდექსში ისეთი საკითხების ასახვას, როგორიცაა: შრომითი ურთიერთობის ცნების გაფართოება და მისი გავრცელება ანაზღაურების გარეშე სტაჟირებაზე; ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების ფიქსირებული ოდენობის დადგენა; დეკრეტული შვებულების ანაზღაურების გაუმჯობესება; შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის ამომწურავი საფუძვლების განსაზღვრა; მინიმალური ხელფასის შესახებ ჩანაწერის დამატება და ა.შ. თუმცა, ორგანიზაციის მიერ შეთავაზებული ეს ასპექტები არ იყო გათვალისწინებული.

შრომის კანონმდებლობაში გატარებული რეფორმის შემდგომ საიამ მოამზადა საინფორმაციო/საადვოკატო ხასიათის 2 ვიდეორგოლი:

1. შრომის ინსპექციის როლი და მანდატი
2. დეკრეტული შვებულების ახლებური მოწესრიგება

სოციალური პოლიტიკის საკითხების ადვოკატირების ფარგლებში, მომზადდა კიდევ ორი ვიდეორგოლი, რომლებიც შეეხებოდა (1) დასაქმებულთა უფლებების დარღვევის შემთხვევებს Covid-19-ის პანდემიის პერიოდში და (2) არაფორმალურად დასაქმებული პირებისთვის სახელმწიფოს მხრიდან ერთჯერადი სოციალური დახმარების გაცემის შეუძლებლობას.

გარემოს დაცვა

საიასა და მწვანე ალტერნატივას რეკომენდაციების საფუძველზე, დაცულ ლანდშაფტებში აიკრძალა დიდი ენერგეტიკული ობიექტების მშენებლობა

საანგარიშო პერიოდში საიამ და „მწვანე ალტერნატივამ“ მოამზადეს რეკომენდაციები საქართველოს მთავრობის მიერ პარლამენტში წარდგენილ სამ კანონპროექტზე, რომლებითაც იცვლებოდა „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონი, იქმნებოდა არაგვისა და თრუსოს დაცული ლანდშაფტები. ეს საკანონმდებლო ინიციატივა ჯერ კიდევ 2018 წლის დეკემბერში დარეგისტრირდა, თუმცა მწვავედ შეფასდა არასამთავრობო ორგანიზაციების, გარემოსდაცვითი ექსპერტებისა და ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდან. ამ ცვლილებით, საქართველოს მთავრობის განკარგულებით, დასაშვები ხდებოდა დაცულ ლანდშაფტებში დიდი ენერგეტიკული ობიექტისა და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის მშენებლობა. საკანონმდებლო ცვლილება პირდაპირ ეწინააღმდეგებოდა დაცული ტერიტორიების კონცეფციას და IUCN-ის (ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის) პრინციპებს. ადგილობრივი მოსახლეობა და სხვა დაინტერესებული პირები არ ჩართეს კანონპროექტების შემუშავების პროცესში. შესაბამისად, ის სრულად გაუმჭვირვალად წარიმართა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ.

კონსტრუქციული და შედეგიანი აღმოჩნდა თანამშრომლობა საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტთან, რომელმაც გაიზიარა საიასა და „მწვანე ალტერნატივას“ ყველა რეკომენდაცია კანონპროექტების პრობლემურ საკითხებთან დაკავშირებით. კერძოდ:

- დაზუსტდა ჩანაწერი დაცულ ლანდშაფტში დაშვებული საქმიანობის შესახებ. გაჩნდა პირდაპირი მითითება, რომ არაგვის და თრუსოს დაცულ ტერიტორიებზე მენეჯმენტის გეგმით განსაზღვრულ გამონაკლის შემთხვევებში დასაშვებია, არაუმეტეს, 6 მეგავატი სიმძლავრის მცირე ჰიდროელექტროსადგურების და მათთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობა, მხოლოდ ადგილობრივი მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების, ტურიზმის და რეგიონის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, დაცული ლანდშაფტის ვიზუალური მხარის შეუცვლელად.

- ცვლილება შევიდა დაცული ლანდშაფტის მმართველობის ფორმაში. მოხდა მისი დეცენტრალიზაცია. არაგვისა და თრუსოს დაცული ლანდშაფტის მართვაში მონაწილეობენ ადგილობრივი მუნიციპალიტეტები და წარმომადგენლობითი ორგანო (საბჭო), რომელსაც ქმნის შესაბამისი მუნიციპალიტეტის საკრებულო.

თანამშრომლობა საქართველოს პარლამენტთან გზშ-ის კანონმდებლობის დასახვეწად

საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტმა 2020 წლის მარტიდან ივნისის ჩათვლით განახორციელა გარემოზე ზემოქმედების შეფასების („გზშ“) პროცედურის აღსრულების კონტროლი. მოკვლევის მიზანი იყო გზშ-ის პროცედურის ეფექტიანობის დადგენა, გამოვლენილი ხარვეზების შესწავლა და კანონის სრულფასოვანი მოქმედების სხვა ხელშემშლელი ფაქტორების გაანალიზება.

ნორმატიული აქტის აღსრულების კონტროლის („ნააკი“) პროცესში მონაწილეობდნენ ექსპერტები, სამოქალაქო საზოგადოების, საჯარო უწყებების წარმომადგენლები და სხვა დაინტერესებული პირები. საიამ კომიტეტს წერილობით წარუდგინა დასაბუთებული მოსაზრებები გზშ-ის აღსრულების ზედამხედველობასთან დაკავშირებით, ასევე, მონაწილეობა მიიღო დისტანციურად ჩატარებულ ზეპირ განხილვებში. მოსაზრებები შეეხებოდა შემდეგ მნიშვნელოვან საკითხებს:

- კოდექსით გათვალისწინებული სკრინინგის/სკოპინგის/გზშ-ის და მათთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში გამოვლენილ ხარვეზებს;
- სკოპინგის და გზშ-ის ანგარიშების ხარისხს და გამოვლენილ ნაკლოვანებებს;
- სკოპინგის/გზშ-ის ანგარიშების საჯარო განხილვის პროცესში დაინტერესებული საზოგადოების მონაწილეობას;
- კოდექსის სადავო ნორმების დახვეწას;
- კოდექსის მოქმედებასთან დაკავშირებით სასამართლო პრაქტიკის შესახებ ინფორმაციას.

კომიტეტმა გზშ-ის აღსრულების კონტროლთან დაკავშირებით გამოქვეყნებულ საბოლოო ანგარიშში გაიზიარა საიას მოსაზრებების დიდი ნაწილი. ასევე, ნააკის ანგარიშში გათვალისწინებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ აღსრულების გასაუმჯობესებლად საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთვის ორგანიზაციის მიერ გაცემული ზოგიერთი მნიშვნელოვანი რეკომენდაცია.

საიას ადვოკატირების კამპანიის შედეგად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოხვაურის მოსახლეობას მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის პრობლემა მოუგვარდა

წლების განმავლობაში საკუთრების უფლება ეზღუდებოდა ბოხვაურში მცხოვრებ 200-მდე ოჯახს, რადგან მიწის რეფორმის ფარგლებში მიღება-ჩაბარების აქტებით მათთვის გადაცემულ მიწის ნაკვეთებზე სახელმწიფომ დაირეგისტრირა საკუთრების უფლება და 25-წლიანი იჯარით გადასცა კერძო კომპანიას.

ადვოკატირების კამპანიის ფარგლებში საიას ორგანიზებით განხორციელდა სხვადასხვა აქტივობა: ჩატარდა კრებები მოსახლეობის წარმომადგენლებთან, გაიმართა შეხვედრები ადგილობრივ ხელისუფლებასთან, შევიდა სარეგისტრაციო დოკუმენტები საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში და შემდგომ მოხდა მათი წარმოების მიმდინარეობის მონიტორინგი, დამყარდა წერილობითი კომუნიკაცია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიასა და სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსთან. შედეგად, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მოთხოვნით, ხსენებულ მიწის ნაკვეთებზე შეწყდა იჯარის უფლების რეგისტრაცია. ამასთან, სააგენტომ განმარტა, რომ არ არის წინააღმდეგი, გაუქმდეს მიწის ნაკვეთებზე სახელმწიფო საკუთრების უფლების რეგისტრაცია მოქალაქეებთან დაფიქსირებული ზედდების ნაწილში, თუ შესაბამისი პროცედურებით დადგინდება მიწის ნაკვეთების იდენტურობა. საბოლოოდ, ზედდების პრობლემის აღმოფხვრის შემდეგ მოქალაქეებმა შეძლეს მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების რეგისტრაცია.

სისხლის სამართლის მართლმსაჯულება

აღკვეთის ღონისძიების გამოყენების სტანდარტები

საანგარიშო პერიოდში საიამ გამოსცა კვლევა „აღკვეთის ღონისძიების გამოყენების სტანდარტები". კვლევის მიზნებისთვის გაანალიზდა აღკვეთის ღონისძიებებთან დაკავშირებული ეროვნული საკანონმდებლო ჩარჩო, გატარებული რეფორმები და მათ საფუძველზე განვითარებული პრაქტიკა. ასევე, ორგანიზაციამ შეისწავლა საერთაშორისო სტანდარტები ამ მიმართულებით და მათი დანერგვის კუთხით ეროვნულ იურისდიქციებში არსებული დაბრკოლებები. კვლევის ფარგლებში ჩატარდა ინტერვიუები და ფოკუსჯგუფის შეხვედრები მოსამართლეებთან, პროკურორებსა და ადვოკატებთან.

კვლევამ გამოკვეთა ამ მიმართულებით საკანონმდებლო ცვლილებების საჭიროება. დასარეგულირებელია არსებული ჩანაწერი აღკვეთის ღონისძიების ერთ-ერთ სახესთან დაკავშირებით - „შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ". მას უნდა მოეხსნას სასჯელსა თუ დანაშაულის კატეგორიაზე დამოკიდებულება. გარდა ამისა, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსიდან ამოსაღებია გირაოს მინიმალური ოდენობის განმსაზღვრელი თანხა, ხოლო ნორმა,

რომელიც შეეხება ჩანაწერს „გირაო პატიმრობის უზრუნველყოფით“, იმგვარად უნდა მოდიფიცირდეს, რომ მოსამართლისთვის ის იყოს „აღმჭურველი“ და არა - მავალდებულებელი. შედეგად, არასაპატიმრო გირაოს გამოყენება შესაძლებელი გახდება დაკავებული ბრალდებულების მიმართაც. ამასთან, გამოიკვეთა შინაპატიმრობის, როგორც ახალი აღკვეთის ღონისძიების სახის საჭიროება.

წამებისა და არასათანადო მოპყრობის ფორმები და პრევენცია



საიამ მოამზადა ანგარიში „წამებისა და არასათანადო მოპყრობის ფორმები და პრევენცია“, რომლის მიზანი იყო საქართველოში სამართალდამცველთა მხრიდან წამებისა და არასათანადო მოპყრობის ფორმების იდენტიფიცირება, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ჩამოყალიბებისა და მისი საგამოძიებო ნაწილის დაკომპლექტების შეფასება.

ანგარიშზე მუშაობის პროცესში გამოვლინდა, რომ ყველაზე ხშირად ძალადობა ხდება დაკავების, ტრანსპორტირებისა და პოლიციის განყოფილებაში გამოკითხვის დროს. წინა წლების მსგავსად, გამოწვევად რჩება სამართალდამცველი უწყებების მხრიდან მსგავსი ფაქტების სათანადო კვალიფიკაცია, გამოძიების გონივრულ ვადებში წარმართვა, არასათანადო მოპყრობის მსხვერპლთა დაზარალებულად ცნობა. დადებითად შეფასდა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შექმნა და ამოქმედება, თუმცა რისკებს შეიცავს მისი საგამოძიებო ნაწილის დაკომპლექტება, ძირითადად, პროკურატურისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებით.

სასამართლოების მონიტორინგის №14 ანგარიში

საია 2011 წლიდან ახორციელებს სისხლის სამართლის პროცესების მონიტორინგს. 2020 წელს ორგანიზაციამ გამოსცა №14 ანგარიში, რომელიც ასახავს ხუთი სასამართლოს (2744 სხდომის) დაკვირვების შედეგად გამოვლენილ სისხლის სამართალწარმოების საკითხებს.

საანგარიშო პერიოდში კვლავ გამოიკვეთა ბრალდებისა და სასამართლო ორგანოების წინაშე არსებული გამოწვევები. დაფიქსირდა ბრალდების მხარის მიერ არა-

საკმარისად დასაბუთებული შუამდგომლობების წარდგენის ფაქტები. გაზრდილია პროკურატურის მხრიდან პატიმრობის მოთხოვნის შემთხვევები, ასევე, პირველი წარდგენის სხდომაზე **დაკავებულის სახით გამოცხადებულ** პირთა რაოდენობა.

პრობლემად რჩება სუსტი სასამართლო კონტროლი. მოსამართლეები, უმეტესად, საჯაროდ არ განიხილავენ **დაკავების კანონიერებას**. ისინი ამ საკითხზე ძირითადად მხოლოდ მაშინ მსჯელობენ, როდესაც უკანონო დაკავებაზე დაცვის მხარე აპელირებს. შესამჩნევად გაიზარდა დაუსაბუთებელი გირაოსა და პატიმრობის მაჩვენებელიც. ფორმალური ხასიათი აქვს საპროცესო შეთანხმებისას მოსამართლის მიერ სასჯელის სამართლიანობისა და კანონიერების შემოწმებას.

პროკურატურა აგრძელებს წინა წლებში დამკვიდრებულ პრაქტიკას და თითქმის ყოველთვის, მაშინაც კი, როდესაც მკაფიოდ არ არის გამოკვეთილი გადაუდებელი აუცილებლობის მოტივი, სასამართლოს გვერდის ავლით, სწორედ გადაუდებელი აუცილებლობის საფუძვლით ატარებს **ჩხრეკა-ამოღებას.** რაც შეეხება სასამართლოს, ის არ ახორციელებს სათანადო კონტროლს და უმრავლეს შემთხვევაში კანონიერად მიიჩნევს წინასწარი ნებართვის გარეშე ჩხრეკა-ამოღების გზით პირთა პირად ცხოვრებაში ჩარევას. ამ საგამოძიებო მოქმედებაზე სუსტი სასამართლო ზედამხედველობის მაჩვენებელია ასევე ანგარიშის მიზნებისთვის გამოთხოვნილი განჩინებების ანალიზი. კერძოდ: განჩინებები, როგორც წესი, შაბლონურია; სასამართლო, ძირითადად, იშველიებს საკანონმდებლო ნორმებს, თუმცა არ მსჯელობს საქმის ფაქტობრივ გარემოებებსა და გადაუდებელი აუცილებლობით ჩხრეკა-ამოღების ჩატარების კონკრეტულ მიზანშეწონილობაზე.

მონიტორინგის შედეგების თანახმად, ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემას კვლავ წარმოადგენს **პროცესების გაჭიანურება**, რაც განპირობებულია სხდომების გადადებით ან დაგვიანებით დაწყებით. ანგარიშში დასახელებულია რამდენიმე ე.წ. „გახმაურებული საქმე“, რომლებიც, წლებია, გრძელდება და კონკრეტული სამართლებრივი

შედეგი არ დამდგარა. ასეთ შემთხვევებში ბრალდებულები, ფაქტობრივად, მოკლებულნი არიან შესაძლებლობას, სრულყოფილად ისარგებლონ მათი საქმის გონივრულ ვადაში განხილვის უფლებით.

წლებია, საია საუბრობს **ნარკოტიკული დანაშაულების** შესახებ კანონმდებლობის მოწესრიგების საჭიროებაზე. პრაქტიკა აჩვენებს, რომ აუცილებელია ნარკოტიკულ საშუალებათა ოდენობების ე.წ. ნუსხის განახლება და სასჯელის გადახედვა, რათა ამ კატეგორიის დანაშაულებზე ბრალდებული/მსჯავრდებული პირები არ დაექვემდებარონ შეუსაბამოდ მკაცრ მიდგომებს.

სასამართლოების მონიტორინგის შედეგები მნიშვნელოვანი ინდიკატორია, რომელიც აჩვენებს წლიდან წლამდე სისხლის სამართლის მართლმსაჯულების პროცესში არსებულ დინამიკას.

სასამართლო პანდემიის დროს

სასამართლოების მონიტორინგის ფარგლებში საიამ გამოსცა სპეციალური ანგარიში, რომელიც პანდემიის პირობებში სისხლის სამართლის პროცესებზე შექმნილი გამოწვევების იდენტიფიცირებას შეეხებოდა. გაანალიზდა ამ პერიოდში მართლმსაჯულების სფეროში არსებული საკანონმდებლო რეგულაციები, იმავდროულად, დისტანციურად განხორციელდა 141 სისხლის სამართლის სხდომის მონიტორინგი.

მონიტორინგმა აჩვენა, რომ დისტანციურ სამართალწარმოებას პრაქტიკაში აქვს 3 ძირითადი პრობლემა: სხდომების საჯაროობა, ადვოკატისა და ბრალდებულის კომუნიკაციის კონფიდენციალურობა და ტექნიკური გაუმართაობა. ასევე, არსებობს ბრალდებულის ან პროცესის მონაწილე სხვა პირების პერსონალური მონაცემების, ასევე, დახურულ სხდომებზე გაცხადებული საიდუმლო ინფორმაციის გავრცელების საფრთხე.

ანგარიშმა აჩვენა, რომ ბრალდებულებს, რომლებიც სასამართლოს ერთვებიან პენიტენციარული დაწესებულებიდან, შესაძლოა, შეექმნათ დაბრკოლება, თამამად და ღიად განაცხადონ მათ მიმართ არასათანადო მოპყრობის ფაქტების შესახებ, მით უფრო, ისეთი შემთხვევების დროს, როდესაც ძალადობა, სავარაუდოდ, თავად პენიტენციარული დაწესებულების თანამშრომლების მხრიდან განხორციელდა.

მედია

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კანონმდებლობა იცავს გამოხატვის თავისუფლებას, მაინც არსებობს გარკვეული მცდელობები დისკრიმინაციული მიდგომისა და ამ უფლების შეზღუდვის თვალსაზრისით. ბოლო პერიოდში განვითარებულმა მოვლენებმა აჩვენა, რომ ხელისუფლებას სურს მედიის რეგულირება.

მედიის მიმართულების პროექტი მოიცავს ორ ძირითად კომპონენტს: თავისუფალი მედიაგარემოსთვის აუცილებელი კარგი კანონმდებლობის ადვოკატირება და სამართლებრივი დახმარება. პროექტის ფარგლებში მომზადდა კვლევები და გაიმართა შეხვედრები მედიასთან დაკავშირებულ სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხზე.

საკანონმდებლო საქმიანობა

საანგარიშო პერიოდში საიამ წარადგინა მოსაზრებები კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ საქართველოს პარლამენტში შეტანილ კანონპროექტთან დაკავშირებით, რომლითაც ფართოვდებოდა კომისიის უფლებამოსილება მაუწყებლებთან მიმართებით, შეიცავდა მისი ბოროტად გამოყენების, ასევე, გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის რისკებს და სხვა მნიშვნელოვან საფრთხეებს. საკანონმდებლო პროცესში ორგანიზაციის აქტიური მონაწილეობის შედეგად, შენიშვნების მნიშვნელოვანი და პრინციპული ნაწილი გაითვალისწინეს.

საიამ, „კოალიცია მედიის ადვოკატირებისთვის“ წევრებთან ერთად, კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას წარუდგინა შენიშვნები პოლიტიკური რეკლამის განთავსებისა და საზოგადოებრივი აზრის კვლევის თაობაზე კომისიის უფლებამოსილების ონლაინმედიაზე გავრცელებასთან დაკავშირებით. შენიშვნების მნიშვნელოვანი ნაწილი გაითვალისწინეს.

საია აკვირდება საზოგადოებრივ მაუწყებელში მიმდინარე მნიშვნელოვან ცვლილებებს. ორგანიზაციამ მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წარუდგინა შენიშვნები საშტატო ნუსხის პროექტთან დაკავშირებით. საზოგადოებრივი მაუწყებლის პროფკავშირებთან ერთად, საია აქტიურად მონაწილეობს ამ პროცესში.

კვლევითი საქმიანობა და ანგარიშები

საანგარიშო პერიოდში საიამ, საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიასთან ერთად, მოამზადა კვლევა „რა მოხდა აჭარის მაუწყებელში“, რომელიც მოიცავს 2019 წლის აპრილიდან 2020 წლის აპრილამდე აჭარის საზოგადოებრივ მაუწყებელში განვითარებული მოვლენების ანალიზს. კვლევაში შეფასებულია მაუწყებლის დირექტორის იმპიჩმენტის საკითხი, სასამართლოში მიმდინარე პროცესები და სხვა მნიშვნელოვანი მოვლენები, რომლებიც ემსახურებოდა ტელევიზიაში სარედაქციო პოლიტიკის შეცვლას.

შეხვედრები

„კოალიცია თანასწორობისთვის“ წლიური ანგარიშის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენდა მედიის თავისუფლების თავი, რომლის მომზადებაში წამყვანი როლი საიამ შეასრულა. ამ თავთან დაკავშირებით გაიმართა ონლაინდისკუსია სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლების მონაწილეობით.

გარდა ზემოხსენებულისა, ორგანიზაცია, მედიისა და სამოქალაქო საზოგადოების სხვა წევრებთან ერთად, მონაწილეობდა პრესის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებულ კონფერენციაში.

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა

საიამ საქართველოს პარლამენტს წარუდგინა შენიშვნები და მოსაზრებები „ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ“ კანონში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით. ეს ცვლილებები სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ოპერატიულ-ტექნიკურ სააგენტოს აძლევდა ინტერნეტის კონტროლის საშუალებას, შეიცავდა ინფორმაციული სისტემების, ასევე იქ დაცული პერსონალური თუ კომერციული მონაცემების ტოტალური კონტროლის რისკებს, ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციის ნორმებსა და საერთაშორისო ვალდებულებებს. მიუხედავად სამოქალაქო საზოგადოების მცდელობისა, პროცესი წარიმართა დახურულად და პარლამენტის რეგლამენტის მოთხოვნათა დარღვევით. კანონპროექტში კი აისახა მხოლოდ ტექნიკური საკითხები, რომლებიც მის პრინციპებს არ ცვლის.

აქტივობები საგანგებო მდგომარეობის დროს

საანგარიშო წლის გაზაფხულზე კორონავირუსის შემთხვევების ზრდის გამო მთავრობის მიერ საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შემდეგ საიას აქტივობები ფოკუსირდა ამ კუთხით გამოვლენილ პრობლემურ ასპექტებზეც. ორგანიზაციამ გაავრცელა არაერთი განმარტებითი განცხადება საქართველოს პრეზიდენტის №1 დეკრეტითა და მთავრობის დადგენილებებით დაწესებული შეზღუდვების, ასევე, დადგენილებებში შესული ცვლილებების შესახებ. გარდა ამისა, ორგანიზაცია აქვეყნებდა შეფასებებს საგანგებო მდგომარეობასთან დაკავშირებულ გამოწვევებზე და გასცემდა შესაბამის რეკომენდაციებს. ასეთ საკითხებს განეკუთვნებოდა: მთავრობის დადგენილებაში შესული ცვლილებით იუსტიციის მინისტრისთვის აღსრულების წესის განსაზღვრის კომპეტენციის მინიჭება; გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის შეზღუდვა; საერთო სასამართლოებში პროცესების დახურვა; საგანგებო მდგომარეობასთან დაკავშირებით მიღებული საკანონმდებლო ცვლილებები და ა.შ.

საიამ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო ეთნიკური უმცირესობებისთვის კორონავირუსისა და საგანგებო მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას. ამ მიზნით, განმარტებით განცხადებებს ავრცელებდა სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზეც. აგრეთვე, პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად, სახელმწიფოსა და მედიასაშუალებებს მოუწოდა, საინფორმაციო პოლიტიკაში უმცირესობების ენები გაეთვალისწინებინათ.

საიამ, პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად, სახელმწიფოსა და რელიგიურ გაერთიანებებს საჯარო კოლექტიური ღვთისმსახურებებისა და რელიგიური რიტუალების დროებით შეზღუდვის რეკომენდაციით მიმართა, ვინაიდან მსგავსი შეკრებები საგანგებო მდგომარეობის პერიოდში მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენდა. ასევე, გამოეხმაურა და შეაფასა შპს „ჯორჯიან მანგანეზის" უკანონო გადაწყვეტილება იძულებითი მოცდენის დროს თანამშრომელთათვის ხელფასების შემცირების შესახებ.

საიამ გამართა ონლაინდისკუსიები Covid-19-ის გავრცელების თანმდევ აქტუალურ საკითხებზე. პირველი დისკუსია შეეხებოდა საგანგებო მდგომარეობის დროს დაწესებული შეზღუდვების განმარტებას, ხოლო მეორე - შშმ პირთა უფლებრივ მდგომარეობას პანდემიის პირობებში. საგულისხმოა, რომ ონლაინდისკუსიები იყო ინტერაქტიული და ნებისმიერ პირს შეეძლო კითხვის დასმა.

გარდა ზემოხსენებულისა, მომზადდა კვლევა საგანგებო მდგომარეობის შესახებ, რომელიც უახლოეს მომავალში გამოქვეყნდება. კვლევაში შეფასებულია საქართველოს ხელისუფლების მიერ საერთაშორისო აქტებით გათვალისწინებული უფლებებიდან გადახვევა, პრეზიდენტის დეკრეტით უფლებების შეზღუდვა და პასუხისმგებლობის ზომის დაწესება, საგანგებო მდგომარეობასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებები.

საერთაშორისო ორგანიზაციებში გაგზავნილი ანგარიშები

საიამ 2020 წელს პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად წარადგინა ჩრდილოვანი ანგარიშები საერთაშორისო ორგანიზაციებში.

გაეროს უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის (UPR) მესამე ციკლის ფარგლებში ორგანიზაციამ გაგზავნა 5 ანგარიში, რომლებშიც შეფასებულია საქართველოს მეორე ციკლით გადასინჯვის შემდეგ (2015 წლის მოსმენა) გამოცემული რეკომენდაციების შესრულება და მოიცავს 2015 წლიდან 2020 წლამდე პერიოდს. ანგარიშები ფარავს როგორც თანასწორობის, ისე სოციალური პოლიტიკის კუთხით არსებულ პრობლემურ საკითხებს, ასევე, გამოწვევებს სისხლის სამართლის მართლმსაჯულებისა და მედიის თავისუფლების მიმართულებით.

გარდა ამისა, საიამ და EMC-მ გაეროში წარადგინეს ალტერნატიული ანგარიში სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა პაქტის შესრულებაზე. ანგარიში მომზადდა საქართველოს მიერ სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა პაქტის შესრულების განხილვის მეხუთე ციკლის ფარგლებში.

ანგარიშში გაანალიზებულია პაქტში წარმოდგენილ სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებთან მიმართებით ბოლო 6 წლის მანძილზე განვითარებული ძირითადი მოვლენები, ასევე, წინა, მეოთხე ციკლის ფარგლებში კომიტეტის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თვალსაზრისით არსებული მდგომარეობა.

ანგარიშში ასევე შეფასებულია ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებების დარღვევის შემთხვევები, დევნილთა მძიმე სოციალური მდგომარეობა, ანტიდისკრიმინაციული პოლიტიკისა და გენდერული თანასწორობის კუთხით არსებული პრობლემები, სასამართლო და საგამოძიებო სისტემის დამოუკიდებლობის ხარვეზები, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ფუნდამენტური რეფორმის საჭიროება, გამოწვევები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების,

ასევე, რელიგიის თავისუფლების მიმართულებით. ანგარიშში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ქვეყნის რეპრესიული ნარკოპოლიტიკის მიმოხილვას.



ალტერნატიულ ანგარიშში საია და EMC აფასებენ შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების მძიმე დარღვევებს, მათ შორის, 2018 წლის 12 მაისის და 2019 წლის 20-21 ივნისის მოვლენებს, ლგბტ პირთა შეკრების უფლებას და ამ კუთხით არსებულ არაერთ გამოწვევას. ასევე, კრიტიკულად არის შეფასებული მედიის თავისუფლებასთან დაკავშირებული ვითარება, კერძოდ, აჭარის საზოგადოებრივ მაუწყებელში განვითარებული მოვლენები, 20-21 ივნისის აქციის გაშუქების დროს ჟურნალისტთა დაზიანებისა და მათ საქმიანობაში უხეში ჩარევის შემთხვევები.

ანგარიშის ერთი ნაწილი ეთმობა შრომის უფლებასთან დაკავშირებულ გამოწვევებს, შრომის უსაფრთხოებას, საცხოვრებლის უფლების გარანტირებისა და გამოსახლებისგან დაცვის საკითხებს, ასევე, შშმ პირთა სამართლებრივი ქმედუნარიანობის რეფორმის ბარიერებს საქართველოში.

ალტერნატიულ ანგარიშში მოცემული ინფორმაცია და მსჯელობა ეფუძნება საიასა და EMC-ის კვლევას, საველე სამუშაოებს, სტრატეგიულ სასამართლო წარმოებას და მათ ანალიზს. ზოგიერთ შემთხვევაში ანგარიში ეყრდნობა სახელმწიფოს მიერ მოწოდებულ მონაცემებს, სახალხო დამცველისა და ადამიანის უფლებებზე მომუშავე სხვა ადგილობრივი თუ საერთაშორისო ორგანიზაციების შეფასებებს.

2

დემოკრატიული ინსტიტუტების მხარდაჭერა

ინსტიტუციონალიზებულ პოლიტიკაში საზოგადოების ფართო ჩართულობის გარეშე სახელმწიფო ინსტიტუტები ინსტრუმენტად იქცევა პოლიტიკური და კლანური დაჯგუფებების ხელში. ამ პირობებში საჯარო სიკეთე მათ კეთილდღეობას ხმარდება, სხვა მოქალაქეების ინტერესები კი უგულებელყოფილია. საიას დემოკრატიული ინსტიტუტების მხარდაჭერის პროგრამის მიზანია იმგვარ რეფორმებზე მუშაობა, რომლებიც ხელს შეუწყობს ინკლუზიური პოლიტიკური პროცესის შექმნას, მყარ ნიადაგს მოამზადებს გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობისთვის, რათა საქართველოში რეალური, ხალხის საჭიროებებზე მორგებული პოლიტიკა დაფუძნდეს. პროგრამა 5 პრიორიტეტული მიმართულებით მუშაობს:

- საპარლამენტო კონტროლის გაძლიერება
- მართლმსაჯულების რეფორმა
- საჯარო მმართველობა
- ადგილობრივი თვითმმართველობა
- არჩევნები

საპარლამენტო კონტროლი

საია 2019 წლის აგვისტოდან 2020 წლის სექტემბრის ჩათვლით, ნიდერლანდების საელჩოს მხარდაჭერით, ახორციელებდა პროექტს „უსაფრთხოების სექტორზე საპარლამენტო კონტროლის მექანიზმების გაძლიერება.“ პროექტის ფარგლებში მომზადდა 12 ბლოგპოსტი და 2 კვლევა - „საპარლამენტო კონტროლი კონსტიტუციისა და რეგლამენტის რეფორმის შემდეგ“ და „საიდუმლო შესყიდვები“, რომლებიც შეისწავლის 2017-2018 წლების კონსტიტუციური და 2018

წლის რეგლამენტის რეფორმის შედეგებს, გამოკვეთს მის მიღწევებსა და გამოწვევებს. საერთაშორისო პრაქტიკაზე დაყრდნობით, მომზადდა რეკომენდაციები.

მართლმსაჯულების რეფორმა

საია მმართველი კომიტეტის მანდატით მონაწილეობს კოალიცია „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის“ საქმიანობაში. ორგანიზაცია ჩართული იყო ყველა იმ განცხადებისა და დოკუმენტ-ის მომზადებაში, რომლებიც კოალიციის სახელით ამ პერიოდში გამოქვეყნდა. საია მონაწილეობდა დისკუსიათა ციკლში (სულ 7 დისკუსია), რომელიც კოალიციის ეგიდით ჩატარდა და მართლმსაჯულების სფეროში არსებულ ძირითად პრობლემებს მიმოიხ-ილავდა.

საია 2012 წლიდან ყოველწლიურად აფასებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობ-ას და აქვეყნებს მონიტორინგის ანგარიშს. 2020 წელს გამოიცა მე-8 ანგარიში. კვლევის ფარგლებში საია აკვირდებოდა საკანო-ნმდებლო სიახლეების იმპლემენტაციის პრო-ცესს. მიუხედავად გარკვეული დადებითი ცვლილებებისა, არსებითად ვერ აღმოიფხვრა სასამართლო სისტემაში აქამდე არსებული გამოწვევები. პროცესებზე დაკვირვება აჩვენე-ბს, რომ მოქმედ ნორმატიულ ჩარჩოში ნებისმ-იერი ჩარევა, რომელიც არ დაუპირისპირდება გადაწყვეტილების მიღების მექანიზმს, მოსამა-რთლეთა გავლენიანი ჯგუფის („კლანი“) წისქვილზე ასხამს წყალს, რომელიც როგორც ხარვეზებს, ისე პოზიტიურ სიახლეებს საკუთა-რი ძალაუფლების გასაძლიერებლად იყენებს.

ორგანიზაცია 2020 წელსაც აგრძელებდა საბჭოს მონიტორინგს, რომლის შედეგებსაც 2021 წელს გამოაქვეყნებს.

საიამ 2020 წლის იანვრიდან დაიწყო უზენაესი სასამართლოს პლენუმის მონიტორინგი. მზადდება შესაბამისი ანგარიში, რომელიც მომავალ წელს გამოიცემა.

2021 წელს გამოქვეყნდება კიდევ ერთი ანგარიში, რომელიც, ერთი მხრივ, მიმოიხილავს 2017-2020 წლებში გატარებულ მართლმსაჯულების რეფორმებს, მეორე მხრივ კი, შეაფასებს იქამდე შეცვლილი ნორმების იმპლემენტაციას.

ორგანიზაცია მუშაობს საკონსტიტუციო სასამართლოსთან დაკავშირებულ საკითხებზეც. ამ მიმართულებით საკანონმდებლო ჩარჩოს სრულყოფისთვის საიამ პარლამენტს საკანონმდებლო წინადადებითაც მიმართა.

საანგარიშო პერიოდში საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტთან (IDFI) ერთად, მოამზადა კვლევა „საქართველოს უზენაესი სასამართლო - ინსტიტუციური და სამართლებრივი ჩარჩოს ანალიზი“. დოკუმენტი აანალიზებს ისეთ საკვანძო საკითხებს, როგორიც არის: უზენაესი სასამართლოს როლი და ადგილი სასამართლო სისტემაში, მისი დაკომპლექტება, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილებები, თავმჯდომარის და მოსამართლეების პასუხისმგებლობა, უზენაესი სასამართლოს პლენუმის კომპეტენცია, პალატების მუშაობა და საქმეთა განაწილება. კვლევაში წარმოდგენილია შესაბამისი რეკომენდაციები.

ზემოთ ხსენებულ აქტივობებს მართლმსაჯულების მიმართულებით საია ახორციელებს პროექტის „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ ფარგლებში, რომელიც დაფინანსებულია აშშ-ის განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ, აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) მეშვეობით.



საჯარო მმართველობა

საია, IDFI-სთან პარტნიორობით და ევროკავშირის ფინანსური დახმარებით, ახორციელებს პროექტს „საჯარო მმართველობის რეფორმის მხარდაჭერა სამოქალაქო მონიტორინგისა და ჩართულობის გზით“. პროექტი მოიცავს საჯარო მმართველობის რეფორმის (PAR) ოთხი მიმართულების მონიტორინგს: პოლიტიკის დაგეგმვა და კოორდინაცია, საჯარო ფინანსების მართვა, ანგარიშვალდებულება და სახელმწიფო სერვისების მიწოდება. აქედან პირველ ორს საია შეისწავლის. პროექტის მიმდინარეობის პერიოდში შეიქმნება მონიტორინგის ელექტრონული პლატფორმა PAR tracker, რომლის მეშვეობითაც ფართო საზოგადოება და ყველა დაინტერესებული მხარე მიიღებს ყოვლისმომცველ ინფორმაციას PAR-ის განხორციელებისა და მონიტორინგის პროცესში ჩართულობის შესაძლო გზების შესახებ. საია უზრუნველყოფს რეგიონული ორგანიზაციების მონაწილეობას PAR-ის ალტერნატიულ მონიტორინგში და ამ მიზნით მცირე გრანტებს გასცემს.

2020 წელს საიამ და IDFI-მ საჯარო მმართველობის რეფორმის ალტერნატიული მონიტორინგის ანგარიშები წარადგინეს. ისინი ოთხ ნაწილად ქვეყნდებოდა და მოიცავდა 2019 წელს ამოცანების და აქტივობების შესრულების ანალიზს.

ამჟამად მიმდინარეობს სამოქმედო გეგმის 2020 წლის პირველი ნახევრის მონიტორინგი, რომლის შედეგებიც საზოგადოებას 2020 წლის ბოლოს წარედგინება.

საგანგებო მდგომარეობა

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია), USAID-ის მიერ დაფინანსებული პროექტის - კარგი მმართველობის ინიციატივის (GGI) მხარდაჭერით, იკვლევს ორდინალური და საგანგებო მდგომარეობის დროს მთავრობის ფუნქციონირებას. შექმნილ ექსტრაორდინალურ ვითარებაში კრიზისის გასამკლავებლად დღის წესრიგში დადგა მთავრობის მიერ რეგულაციების შემოღება და მათი აღსრულება. გაჩნდა საჭიროება, შეფასებულიყო მთავრობის საქმიანობის წესი და კომპეტენციები საგანგებო მდგომარეობის დროს, შესწავლილიყო უკვე მიღებული გადაწყვეტილებების საფუძვლები და მოტივები, აგრეთვე ძალაუფლების განაწილების ტენდენცია საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებამდე და მის შემდეგ. კვლევა გამოქვეყნდება 2021 წელს.

ადგილობრივი თვითმმართველობა

საიამ, USAID-ის მიერ დაფინანსებული პროექტის - კარგი მმართველობის ინიციატივის (GGI) მხარდაჭერით, შექმნა თბილისის მუნიციპალიტეტის კეთილსინდისიერი და გამჭვირვალე მმართველობის სტრატეგია, სამოქმედო გეგმა და მონიტორინგის ჩარჩო. ჩამოთვლილი დოკუმენტები თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ 2020 წლის ივლისში დაამტკიცა. პროექტი თვითმმართველობის ორგანოში გამჭვირვალობის ხარისხის გაზრდასა და ღია მმართველობის პარტნიორობის ფარგლებში (OGP) აღებული ვალდებულებების შესრულებას ემსახურებოდა.

საანგარიშო პერიოდში ორგანიზაცია GIZ-ის მხარდაჭერით ახორციელებდა პროექტს, რომლის მიზანი იყო საქართველოს მუნიციპალიტეტებში საჯარო სერვისების მიწოდების ეფექტიანობის განსაზღვრა. კვლევა მოიცავს როგორც ახლად დანერგილი სერვისების, ისე უკვე არსებული მექანიზმების ფუნქციონირების ხარისხის შეფასებას. შედეგად, გამოვლინდა საჭიროებები და გამოწვევები, რომელთა საფუძველზეც მზადდება რეკომენდაციები ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების მიერ საკუთარი მოვალეობების უკეთ შესრულებისთვის. კვლევა 2020 წლის ბოლოს გამოქვეყნდება.

არჩევნები

საია ჩართული იყო საარჩევნო სისტემის ცვლილების პროცესში, დისკუსიებსა და საპარლამენტო განხილვებში, მონაწილეობდა საარჩევნო რეფორმაში, რომელიც მიზნად ისახავდა ეუთო/ოდირის რეკომენდაციების კანონმდებლობაში ასახვას. ორგანიზაციამ მოამზადა და პარლამენტს წარუდგინა დასკვნა ცვლილებების პროექტზე. დოკუმენტში მოცემულია რეკომენდაციები შემდეგი მიმართულებებით: საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტება, სააგიტაციო მასალის განთავსების შეზღუდვის დისტანციის გაზრდა, არჩევნების წინა დღის „სიჩუმის დღედ“ გამოცხადება, საარჩევნო რეგისტრაციისას პარტიულ სიაში განსხვავებული სქესის წარმომადგენლობის 50%-მდე გაზრდა და სხვა.

საიამ შეისწავლა ევროპის კავშირის სახელმწიფოების პრაქტიკა სხვადასხვა მიმართულებით და გამოსცა 3 მცირე კვლევა:

- სავალდებულო გენდერული კვოტა საპარლამენტო არჩევნებისას ევრ-ოკავშირის წევრ ქვეყნებში;
- საარჩევნო სისტემების მიმოხილვა;
- ამომრჩევლის ნების თავისუფალი გამოვლინების გარანტიები.



მზადდება 2 კვლევა, რომლებიც უახლოეს მომავალში გამოქვეყნდება:

- პანდემიის პირობებში საჯარო რესურსების წინასაარჩევნო მიზნებისთვის გამოყენება;
- საარჩევნო ადმინისტრაცია.

ორგანიზაცია აკვირდება ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს და ამზადებს ყოველთვიურ საინფორმაციო ბიულეტენს. 2019 წლის ოქტომბრიდან 2020 წლის ნოემბრამდე გამოქვეყნდა 13 ბიულეტენი და გამართა ორი შემაჯამებელი პრეზენტაცია.

ზემოაღნიშნული აქტივობები ხორციელდებოდა პროექტის ფარგლებში - „თავისუფალი, სამართლიანი და თანასწორი საარჩევნო-პოლიტიკური ციკლი 2019-2022 წლებში“, რომელიც დაფინანსებულია აშშ-ის განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ.

„ღია საზოგადოების ფონდის“ მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში - „გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისია 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის

საქართველოში“ - საია წინასაარჩევნო გარემოს 9 რეგიონული მონიტორის მეშვეობით, თბილისში, აჭარაში, გურიაში, სამეგრელო-ზემო სვანეთში, იმერეთში, შიდა და ქვემო ქართლში, მცხეთა-მთიანეთსა და კახეთში აკვირდებოდა. მონიტორების დახმარებით, საია უზრუნველყოფდა სანდო და მტკიცებულებაზე დაფუძნებული ინფორმაციის საზოგადოებისთვის მიწოდებას.

გამოქვეყნდა 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის 3 შუალედური ანგარიში, რომლებიც მიმოიხილავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: სახელმწიფოსა და პარტიის გამიჯვნის მოთხოვნის უგულებელყოფა; ამომრჩევლის მოსყიდვა; ძალადობრივი ქმედებები, დაძაბული არჩევნებისწინა გარემოს შექმნა და წინასაარჩევნო აგიტაციის ხელშეშლა. 2020 წლის ბოლომდე გამოქვეყნდება მეოთხე შუალედური და საბოლოო ანგარიშები.



საიას 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების სადამკვირვებლო მისიაში 740 ადამიანი მონაწილეობდა. მისია 4-დონიანი იყო და შედგებოდა ცენტრალური და რეგიონული შტაბებისგან, საოლქო და საუბნო (მობილური ჯგუფი, პერიმეტრის და, უშუალოდ, უბნის) დამკვირვებლებისგან. ორგანიზაციამ არჩევნების დღეს 3 შეფასება გააკეთა, ხოლო მეორე დღეს საზოგადოებას არჩევნების დღის შემაჯამებელი დასკვნა შესთავაზა. სადამკვირვებლო მისიის ანგარიში 2021 წელს გამოქვეყნდება.

3

საპარლამენტო დახმარება

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის სამართლებრივი დახმარების პროგრამა საანგარიშო პერიოდში 4 პრიორიტეტული მიმართულებით მუშაობდა:

- სამართლებრივი დახმარება
- სტრატეგიული სამართალწარმოება
- აღსრულების მექანიზმების გამოყენება
- ჰააგის სასამართლოს საქმიანობის და საქართველოს სიტუაციის გამოძიების ხელშეწყობა

საანგარიშო პერიოდში საიამ სამართლებრივი დახმარება გაუწია 23 000-ზე მეტ პირს.



გაწეული სამართლებრივი დახმარება კონსულტაციის ტიპების მიხედვით:



ამჟამად საია საადვოკატო საქმიანობას ახორციელებს 305 საქმეზე:



მოგებული საქმეები

საანგარიშო წლის განმავლობაში საიამ ეროვნულ დონეზე წარმატებით დაასრულა 53 საქმე. წარმოგიდგენთ რამდენიმე მათგანს:

საპატრულო პოლიციის დეპარტამენტს მოქალაქის ცემის გამო მორალური ზიანის ანაზღაურება დაევალა

თბილისის საქალაქო სასამართლომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტს მოქალაქის ჯანმრთელობისთვის მიყენებული ზიანის გამო მორალური ზიანის ანაზღაურება დაავალა. სასამართლომ დაადგინა, რომ პოლიციელებმა 2014 წელს ადმინისტრაციული წესით პირის დაკავებისას გამოიყენეს არაპროპორციული ფიზიკური ძალა, რასაც შედეგად ამ უკანასკნელის ჯანმრთელობის დაზიანება მოჰყვა. გადაწყვეტილება მნიშვნელოვანია მსგავსი ტიპის საქმეებში სახელმწიფოსა და მოქალაქეს შორის მტკიცების ტვირთის გადანაწილების თვალსაზრისით. სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ სამართალდარღვევის ჩადენის მიუხედავად, პოლიცია ვალდებული იყო, პირის დაკავებისას მხოლოდ პროპორციული ძალა გამოეყენებინა.

სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებულმა პირმა თბილისის საკრებულოსგან კომპენსაცია მიიღო

თბილისის საკრებულომ სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებულ პირს 43 750 ლარი გადაუხადა. მათ შორის 2013 წელს დაწყებული დავა 2020 წელს, საბოლოოდ, მორიგებით დასრულდა. მოსარჩელე სასამართლოში უკანონო გათავისუფლებასა და სამსახურში აღდგენაზე დავობდა.

საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება მნიშვნელოვანია საჯარო სამსახურში დასაქმებული პირების უფლებების დაცვის თვალსაზრისით. მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს მოუწია მოსარჩელისთვის სოლიდური ანაზღაურების გადახდა, რაც, შესაძლოა, სამომავლოდ ამ ორგანოს მხრიდან თანამშრომელთა უკანონოდ გათავისუფლების კუთხით პრევენციული საშუალება აღმოჩნდეს.

თელავის მუნიციპალიტეტის მერიას თანამშრომლის სამსახურში აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება დაევალა

რეორგანიზაციის გამო შტატების შემცირების მოტივით სამსახურიდან გათავისუფლებულმა პირმა თელავის მუნიციპალიტეტის მერიას დავა მოუგო. სამივე ინსტანციის სასამართლომ მიიჩნია, რომ სამსახურიდან გათავისუფლება არ შეესაბამებოდა კანონის მოთხოვნებს. შედეგად, თელავის მუნიციპალიტეტის მერიას დაევალა გათავისუფლებული თანამშრომლის აღდგენა ტოლფას თანამდებობაზე და 2018 წლის 30 იანვრიდან სამსახურში აღდგენის დღემდე იძულებით განაცდური ხელფასის ანაზღაურება.

სასამართლომ ყურადღება გაამახვილა შემდეგ გარემოებაზე: მართალია, თელავის მუნიციპალიტეტისა და თვითმმართველი ქალაქი თელავის გაერთიანების (შერწყმის) შედეგად ჩამოყალიბდა თელავის მუნიციპალიტეტი, ხოლო რეორგანიზაციას მოჰყვა შტატების შემცირება, თუმცა არსებითად მნიშვნელოვანი იყო, რომ შტატი, რომელიც მოსარჩელეს ეკავა, არ გაუქმებულა და არც მისი ფუნქციური დანიშნულება შეცვლილა. იქიდან გამომდინარე, რომ მსგავსი ტიპის ორგანიზაციული ცვლილებები არაერთ მუნიციპალიტეტში განხორციელდა, ამ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება ერთგვარი პრეცედენტია და, შესაძლოა, მას ჰქონდეს დადებითი გავლენა არაერთი სხვა გათავისუფლებული პირის უფლებების დაცვის თვალსაზრისით.

მცდარი სამედიცინო ქმედების გამო სამედიცინო დაწესებულებას ზიანის ანაზღაურება დაეკისრა

გარდაცვლილი პაციენტის მშობელმა სამედიცინო დაწესებულების წინააღმდეგ დავა წარმატებით დაასრულა. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ძალაში

დატოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც სამედიცინო დაწესებულებას პაციენტის მშობლის სასარგებლოდ მორალური ზიანისთვის 5000, ხოლო მატერიალური ზიანისთვის 10000 ლარის (დაკრძალვის ხარჯები) გადახდა დაეკისრა.

პაციენტი 2014 წლის 5 დეკემბერს სასწრაფო სამედიცინო დახმარების ახმეტის რაიონული სამსახურის ექიმის მხრიდან არასწორი მკურნალობის შედეგად გარდაიცვალა. პაციენტის მშობელი დავობდა, რომ ექიმმა არ მიმართა საჭირო ზომებს და არ იმოქმედა აღიარებული სამედიცინო სტანდარტების შესაბამისად, რამაც პაციენტის სიცოცხლის შეწყვეტა გამოიწვია. მცდარი სამედიცინო ქმედების გარდა, სასწრაფო დახმარების მანქანა არ იყო აღჭურვილი სათანადო სამედიცინო ინვენტარით.

სასამართლომ დაადგინა, რომ განსახილველ შემთხვევაში ზიანი (მოსარჩელის შვილის გარდაცვალება) გამოიწვია სამედიცინო პერსონალის მხრიდან მკურნალობის პროცესში დაშვებულმა ხარვეზებმა. აღსანიშნავია, რომ საქართველოს კანონმდებლობა ცალსახად არ ადგენს პირის ახლო ნათესავის გარდაცვალების გამო სამედიცინო დაწესებულებისთვის მორალური ზიანის ანაზღაურების დაკისრების შესაძლებლობას. თუმცა, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის გათვალისწინებით, სასამართლომ უდავოდ მიიჩნია, რომ მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად შვილის მოულოდნელი გარდაცვალებით მშობელმა განიცადა ძლიერი სულიერი სტრესი. ეს კი უშვებდა პრეზუმფციას, რომ ამგვარმა სულიერმა და ემოციურმა ტანჯვამ, საბოლოოდ, გამოიწვია მისი ჯანმრთელობის გაუარესება. ეს მოცემულობა სასამართლომ მორალური ზიანის ანაზღაურების წინაპირობად შეაფასა.

საქმე ერთგვარ პრეცედენტს წარმოადგენს, ერთი მხრივ, სამედიცინო სფეროში არსებული დავების, ხოლო მეორე მხრივ, ოჯახის წევრის გარდაცვალების გამო მორალური ზიანის ანაზღაურების მიმართულებით.

სოციალურად დაუცველმა ოჯახმა ბანკს დავა მოუგო

სოციალურად დაუცველმა ოჯახმა, რომელსაც ბანკი არ აძლევდა სოციალური დახმარების აღების შესაძლებლობას ამავე ბანკში წარმოშობილი დავალიანების გამო, სასამართლო დავა მოიგო. სასამართლომ ბათილად ცნო ბანკთან დადებული სესხის ხელშეკრულების ის პუნქტი, რომელიც ბანკს, ოჯახის თანხმობის გარეშე, სოციალური დახმარების ბლოკირების და ჩამოჭრის უფლებას აძლევდა.

სასამართლოს განმარტებით, იმ პირობებში, როდესაც სადავო არ იყო საბანკო კრედიტის შესახებ ხელშეკრულების გასაჩივრებული პუნქტის ცალკე, ინდივიდუალურად კლიენტთან შეუთანხმებლობის ფაქტი, ინფორმაციული დეფიციტის პირობებში გამოირიცხებოდა მსესხებლის გაცნობიერებული არჩევანის შესაძლებლობა. გადაწყვეტილების მიხედვით, თუკი სხვა რამ არ დასტურდება, ივარაუდება, რომ მოვალე არ მოინდომებდა იმგვარ სახელშეკრულებო პირობაზე დათანხმებას, რომელიც მას, ვალდებულების დასაფარად საარსებო შემწეობის ჩამოჭრის შედეგად, თვიდან თვემდე არსებობისთვის აუცილებელი თანხის გარეშე დატოვებდა. ამის გააზრების შესაძლებლობა კი მას ექნებოდა მხოლოდ შესაბამისი დათქმების შესახებ ინფორმირების შემთხვევაში.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს და აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკას დისკრიმინაციის აკრძალვის და პრევენციის შიდა დოკუმენტის შემუშავება დაევალათ

საია სახალხო დამცველის ანტიდისკრიმინაციულ მექანიზმში იცავდა ლგბტ+ საკითხებზე მომუშავე ორგანიზაცია „იდენტობის“ ინტერესებს, რომელსაც უარი ეთქვა დაგეგმილი ღონისძიებების ჩატარებაზე. 2020 წლის 27 იანვარს საქართველოს სახალხო დამცველმა დაადგინა, რომ „იდენტობის“ მიმართ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტმა და აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკამ, სექსუალური ორიენტაციისა და საქმიანობის სფეროს ნიშნით, პირდაპირი დისკრიმინაცია განახორციელეს. ამ დაწესებულებებს დაევალათ დისკრიმინაციის აკრძალვის და პრევენციის პოლიტიკის შიდა დოკუმენტის მიღება და მომავალ საქმიანობაში თანასწორობის პრინციპების დაცვა, ასევე, ლგბტ+ თემის და სხვა დაუცველი ჯგუფების მიმართ შემწყნარებლური გარემოს ჩამოყალიბება.

მომზადდა და გამოქვეყნდა 3 საინფორმაციო ბროშურა, რომლებიც მოიცავს შემდეგ საკითხებს:

- საარსებო შემწეობის მიღება
- სახელმწიფო პენსიის მიღება
- მომხმარებელთა უფლებების დაცვა ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების გაწევისას



ასევე, მომზადდა 1 ანალიტიკური დოკუმენტი, რომელიც მიმოიხილავს COVID-19-თან დაკავშირებულ პრობლემურ სამართლებრივ საკითხებს და დაინტერესებულ პირებს იურიდიულ რჩევებს სთავაზობს.

სისხლის სამართლის საქმეებზე ეფექტიანი სამართალწარმოების ხელშეწყობის მიზნით, საანგარიშო პერიოდში მომზადდა და გამოიცა დამხმარე სახელმძღვანელო ადვოკატებისთვის. სახელმძღვანელოს ამოცანაა, წამების/არასათანადო მოპყრობის, ასევე, სექსუალური ძალადობის მსხვერპლების საქმეების თავისებურებების გათვალისწინებით, ყურადღების გამახვილება ისეთ საკითხებზე, რომელთა ასახვაც მსხვერპლის ახსნა-განმარტებაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. სახელმძღვანელო პრაქტიკოს ადვოკატებს სთავაზობს სავარაუდო კითხვების ჩამონათვალს, რომელიც, კონკრეტული საქმის გარემოებების მხედველობაში მიღებით, შესაძლებელია, გამოყენებული იყოს მსხვერპლისგან ახსნა-განმარტების მისაღებად.

სტრატეგიული სამართალწარმოება საკონსტიტუციო სასამართლოში

საია ამჟამად საკონსტიტუციო სასამართლოში აწარმოებს 31 საქმეს, რომელთაგან 12-ზე სარჩელი საანგარიშო წელს შეიტანა. იმავდროულად, ორგანიზაციამ წარადგინა 1 სასამართლო მეგობრის მოსაზრება. საანგარიშო პერიოდში წარმატებით დასრულდა 2 საქმე.

ახალი სარჩელები

საანგარიშო პერიოდში წარდგენილი 12 საქმიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია:

- ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის სხვადასხვა პრობლემურ მუხლთან დაკავშირებით წარდგენილი სარჩელები, რომლებიც მოიცავს შემდეგ საკითხებს: 48-საათიანი დაკავების ვადა იმ პირისთვის, რომელსაც თავისუფლება არასამუშაო დღეს აღუკვეთეს და 12-საათიანი - იმ პირისთვის, რომელიც სამუშაო დღეს დააკავეს; მტკიცების ტვირთის გადანაწილების სტანდარტი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე; სასარგებლო წიაღისეულის უნებართვოდ მოპოვების შემთხვევაში ტრაქტორის ან სამართალდარღვევის სხვა იარაღის ბლანკეტურად

ჩამორთმევა; მერიის შეტყობინების გარეშე ბანერების განთავსებით სპონტანური პროტესტის გამოხატვის აკრძალვა ქალაქ თბილისში; საპროტესტო აქციის დროს ხმაურის დასაშვები ნორმების გადამეტება;

- კოვიდ-19-თან დაკავშირებული საქმეები: საიამ გაასაჩივრა „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ კანონში შესული ცვლილებები, რომლითაც 2021 წლის 1-ლ იანვრამდე შრომის და გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვის უფლებამოსილება მთავრობას გადაეცა. მოცემულ საქმეში საია დავობს, რომ ამ უფლებების შეზღუდვა, კონსტიტუციის თანახმად, დასაშვებია მხოლოდ კანონით და არა - კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით; კიდევ ერთი სარჩელი ეხება მოქალაქეობის ნიშნით დისკრიმინაციას. მთავრობის გასაჩივრებული დადგენილება ითვალისწინებს საქართველოს მოქალაქეებისთვის კარანტინის გავლის ვალდებულებას, რომლისგანაც უცხოელები თავისუფლდებიან;
- საიამ საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართა საარჩევნო პერიოდში ინტერნეტმედიის მიერ საზოგადოებრივი აზრის კვლევის გამოქვეყნების აკრძალვის კონსტიტუციურობის თაობაზე. ორგანიზაცია ასევე დავობს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ნორმატიული აქტით, საავტორო უფლებების დარღვევის საფუძვლით, ელექტრონული კომუნიკაციების კომპანიების სანქცირების უფლებამოსილების გამო;
- საიას ერთ-ერთი სარჩელი ეხება ნოტარიუსის მიერ საკუთარი ფეისბუქგვერდის საშუალებით პოლიტიკური შეხედულებების გავრცელების თავისუფლებას;
- საანგარიშო პერიოდში საია ასევე იცავდა პარლამენტის ყოფილ წევრს ნიკა მელიას. ორგანიზაცია ამ საქმეზე ამტკიცებდა, რომ კონსტიტუციით დეპუტატისთვის უფლებამოსილების შეწყვეტა დასაშვებია, როცა გამამტყუნებელი განაჩენი ძალაში დატოვა საბოლოო ინსტანციის სასამართლომ;
- საიას ორი ახალი კონსტიტუციური სარჩელი ეხება სასამართლოზე ხელმისაწვდომობას. ერთი გასაჩივრებული ნორმა სადამკვირვებლო ორგანიზაციას უკრძალავს, სასამართლოში გაასაჩივროს ცესკოს თავმჯდომარის უარი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენაზე. მეორე სარჩელი ეხება სამოქალაქო საქმეზე სააპელაციო საჩივრის წარდგენის აკრძალვას, როდესაც დავის ღირებულება არ აღემატება 2000 ლარს. ეს აკრძალვა არ იცნობს გამონაკლისს მაშინ, როცა ასეთ შემთხვევაში დავის საგანთან დაკავშირებით არსებობს ურთიერთსაწინააღმდეგო პრაქტიკა და, შესაბამისად, ზემდგომი სასამართლოს მიერ ნორმის განმარტების ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბების აუცილებლობა.

მოგებული საქმეები

მსმ პირების სისხლის დონორობა

2019 წლის 17 დეკემბერს საკონსტიტუციო სასამართლომ კიდევ ერთხელ არაკონსტიტუციურად ცნო მსმ-ისთვის (მამაკაცი, რომელსაც სექსი აქვს სხვა მამაკაცთან) დაწესებული არაგონივრული აკრძალვა. გასაჩივრებული ნორმა მსმ-ს უკრძალავდა სისხლის დონორობას ბოლო სქესობრივი აქტიდან 10 წლის განმავლობაში. საკონსტიტუციო სასამართლომ მსმ-ისთვის ამ აკრძალვის ასეთი ხანგრძლივი დროით დაწესება მიიჩნია ადამიანის პიროვნული განვითარების თავისუფლების უფლების დარღვევად და ჯანდაცვის მინისტრს 2020 წლის 31 მარტამდე მისცა ვადა ახალი რეგულაციის მისაღებად. ჯანდაცვის მინისტრმა დადგენილ ვადაში შეასრულა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება და ამჟამად მსმ პირებს სისხლის დონორობა ეზღუდებათ ბოლო სქესობრივი კონტაქტიდან 12 თვის განმავლობაში.

მოსახმარად უვარგისი ნარკოტიკული საშუალების შენახვისთვის პატიმრობის არაკონსტიტუციურად ცნობა

2020 წლის 4 ივნისს საკონსტიტუციო სასამართლომ საიას კიდევ ერთი სარჩელი დააკმაყოფილა. ორგანიზაცია იცავდა მოქალაქის ინტერესებს, რომელიც დამნაშავედ ცნეს 0,00000126 გრამი მეტამფეტამინის შენახვისთვის. ეს არის ნარკოტიკის მოხმარების შედეგად ჭურჭელში დარჩენილი თვალით უხილავი ნივთიერება, ჭურჭლის ანაფხეკი, რომლის არათუ გასაღება, არამედ მოხმარებაც კი შეუძლებელია. ამის მიუხედავად, ამ თვალით უხილავი ნარკოტიკული საშუალების შეძენა-შენახვა ისჯებოდა თავისუფლების აღკვეთით ხუთიდან რვა წლამდე ვადით. საკონსტიტუციო სასამართლომ თავისუფლების აღკვეთით ადამიანის დასჯა იმ ოდენობის ნარკოტიკული საშუალების შენახვისთვის, რომელიც მოსახმარად უვარგისია, მიიჩნია ღირსების შემლახველ სასჯელად. ამასთან, თუ რა ოდენობის ნარკოტიკული საშუალებაა მოსახმარად ვარგისი, ეს სასამართლოს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საქმის ინდივიდუალური გარემოებების გათვალისწინებით უნდა დაედგინა.

ამ გადაწყვეტილების შემდეგ სააპელაციო სასამართლომ გადასინჯა არაერთი განაჩენი და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებიდან გაათავისუფლა პირები, რომლებიც სასჯელს მოსახმარად უვარგისი ნარკოტიკული საშუალების შენახვისთვის იხდიდნენ.

სტრატეგიული სამართალწარმოება საერთაშორისო მექანიზმებში

საია საერთაშორისო მექანიზმებში და აღსრულების ეტაპზე აწარმოებს 113 საქმეს. საანგარიშო პერიოდში ორგანიზაციამ წარადგინა 1 საქმე და, ასევე, 1 მოიგო ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში.

პარალელურად, საანგარიშო პერიოდში საია აგრძელებდა ევროპულ სასამართლოსთან აქტიურ კომუნიკაციას წარმოებაში არსებულ საქმეებთან დაკავშირებით. 3 საქმეზე ორგანიზაციამ წარადგინა მომჩივანთა სამართლებრივი არგუმენტაციები. აქედან 1 საქმე შეეხება გენდერის სამართლებრივი აღიარების საკითხის დაურეგულირებლობას, რის გამოც, ტრანსგენდერ ადამიანს საიდენტიფიკაციო დოკუმენტებში სასურველი სქესის ასახვის შესაძლებლობა ერთმევა. მე-2 საქმე უკავშირდება პოლიციის განყოფილებაში მომჩივნის მიმართ არასათანადო მოპყრობასა და ამ ფაქტზე მიმდინარე გამოძიების არაეფექტიანობას, ხოლო მე-3 - მომჩივნის საკუთრების უფლების დარღვევას.

ახალი საქმე

ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში გაგზავნილი 1 ახალი საჩივარი არასათანადო მოპყრობის ფაქტზე სახელმწიფოს მიერ ეფექტიანი გამოძიების ჩატარების ვალდებულების შეუსრულებლობას შეეხება. მომჩივანი განსახილველ საქმეთა სიაში მისი საქმის აღდგენას მოითხოვს.

წარმატებული საქმე

მეგრელიშვილი საქართველოს წინააღმდეგ (საჩივარი №30364/09)

2020 წლის 7 მაისს ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე „მეგრელიშვილი საქართველოს წინააღმდეგ“ გადაწყვეტილება გამოიტანა, რომლითაც საქართველოს მხრიდან ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 (1) მუხლის (საქმის სამართლიანი განხილვის უფლება) დარღვევა დაადგინა.

გადაწყვეტილების თანახმად, მომჩივნის პირადი და ბინის ჩხრეკა მნიშვნელოვანი პროცედურული დარღვევებით ჩატარდა, მათ შორის, მას და მისი ოჯახის წევრებს დაუსაბუთებლად არ მიეცათ ჩხრეკის დროს დამსწრეების მოწვევის უფლება. შედეგად, ძირითადი მტკიცებულების (ნარკოტიკული ნივთიერება) მოპოვების წესი აჩენდა კითხვებს მის სანდოობასთან დაკავშირებით. ამასთან, ეროვნულმა სასამართლოებმა სათანადოდ არ განიხილეს მომჩივნის არგუმენტი პოლიციელთა მხრიდან ნარკოტიკების ჩადების თაობაზე, რის გამოც ევროპულმა სასამართლომ მის მიმართ წარმოებული პროცესი მთლიანად არასამართლიანად მიიჩნია. საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილებით, საქართველოს სახელმწიფოს მომჩივნის სასარგებლოდ დაეკისრა მორალური ზიანის ანაზღაურება 3000 ევროს ოდენობით. ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში მის ინტერესებს საია და ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული ცენტრი (EHRAC) წარმოადგენდნენ.

აღსრულების მექანიზმების გამოყენება

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებისა და განჩინებების აღსრულება

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს წინააღმდეგ მიღებული გადაწყვეტილებების და განჩინებების აღსრულების მდგომარეობის შესახებ საიამ საქართველოს პარლამენტს ალტერნატიული ანგარიშები წარუდგინა. ანგარიშები გაიგზავნა, ჯამში, 12 საქმეზე. აქედან 4 საქმეზე საია აფასებს სახელმწიფოს მიერ გატარებულ ზოგად ღონისძიებებს, 8-ზე კი - ინდივიდუალურს.

ზემოთ ხსენებულ 4 საქმესთან დაკავშირებით (მახარაძის და სიხარულიძის, იდენტობის, ცინცაბაძის ჯგუფის საქმეები და სარიშვილი-ბოლქვაძე საქართველოს წინააღმდეგ) საიამ შეაფასა ის ხარვეზები, რომლებიც იკვეთება პენიტენციარულ და კერძო სამედიცინო დაწესებულებებში სათანადო სამედიცინო მომსახურების მიღების, სიცოცხლის უფლების, არასათანადო მოპყრობის ფაქტების პრევენციისა

და ამ ფაქტების ეფექტიანი გამოძიების კუთხით, ასევე, უმცირესობათა ჯგუფების უფლებების დაცვის, ლგბტ+ თემის გამოხატვისა და შეკრების თავისუფლების რეალიზების მიმართულებით. 8 ინდივიდუალური საქმე სიცოცხლის უფლებასა და არასათანადო მოპყრობის შემთხვევებს ეხება, რომლებზეც სახელმწიფოს ეფექტიანი გამოძიება უნდა ეწარმოებინა. ალტერნატიულ ანგარიშებში შეფასებულია გამოძიების ფარგლებში სახელმწიფოს მიერ დაშვებული ხარვეზები.

ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების ეფექტიანი აღსრულების მიზნით, საიამ 5 საქმეზე (იდენტობის ჯგუფის საქმეები, ჩოხელი და სხვები რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ, მახარაძის და სიხარულიძის ჯგუფის საქმეები, ცინცაბაძის ჯგუფის საქმეები, ნ.ნ. და სხვები საქართველოს წინააღმდეგ) კომუნიკაცია წარადგინა ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტში, როგორც გადაწყვეტილებების აღსრულებაზე ზედამხედველობის ორგანოში. ჩოხელის საქმეში შეფასებულია 2006 წელს რუსეთის ფედერაციიდან საქართველოს მოქალაქეების გამოძევებასთან დაკავშირებით ევროპული სასამართლოს მიერ რუსეთისთვის დაკისრებული კომპენსაციის გადახდის საკითხი. ნ.ნ-ს საქმე კი ეროვნული ორგანოების წინაშე ბავშვის ხარვეზიან წარმომადგენლობას და ამ პროცესში ბავშვთა საუკეთესო ინტერესების გაუთვალისწინებლობას შეეხება.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ანალიზი



საიამ გამოსცა ანგარიში, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებს და მათი აღსრულების პროცესს აანალიზებს. ანგარიში მოიცავს ორგანიზაციის მიერ საკონსტიტუციო სასამართლოში ბოლო 5 წლის განმავლობაში (2015 წლიდან 2020 წლის პირველი ნახევარი) ნაწარმოებ საქმეებს. თითოეულ საქმესთან მიმართებით შესწავლილია, როგორ მოხდა გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულება. აღსრულების პროცესის გაუმჯობესების მიზნით, ანგარიშს თან ახლავს შესაბამისი რეკომენდაციები.

ჰაagის სასამართლოს საქმიანობის და საქართველოს სიტუაციის გამოძიების ხელშეწყობა

საანგარიშო პერიოდში საია აგრძელებდა როგორც სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს, ასევე, 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად დაზარალებულთა მხარდაჭერას ჰააგის სასამართლოს პროკურორის ოფისის მიერ წარმოებული გამოძიების ფარგლებში.

ამ მიზნით, 2020 წლის აპრილში საიამ, როგორც „საქართველოს კოალიცია სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთვის“ თავმჯდომარე ორგანიზაციამ, სასამართლოს და წევრ სახელმწიფოთა ასამბლეის ეგიდით შექმნილ დამოუკიდებელ ექსპერტთა ჯგუფს რეკომენდაციები წარუდგინა. დოკუმენტი მოიცავს სხვადასხვა ხარვეზს, რომლებიც საქართველოს სიტუაციის გამოძიებაზე მუშაობის პროცესში გამოვლინდა. კერძოდ:

- წინასწარი მოკვლევის და გამოძიების დაუსაბუთებელი ხანგრძლივობა და ამ ეტაპზე მსხვერპლთა შეზღუდული ჩართულობა;
- ცნობიერების ამაღლების მიმართულებით აქტივობების ნაკლებობა;
- დაზარალებულთა ნდობის ფონდის მონაწილეობისა და ეროვნულ დონეზე პროექტების განხორციელების გაჭიანურება.

საზოგადოებისა და დაზარალებული თემის ცნობიერების ამაღლების მიზნით, საიამ, პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად, შექმნა ვებსაიტი - www.gcicc.ge, რომლის მიზანია სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს, მისი ორგანოების, საქართველოში მიმდინარე გამოძიების, დაზარალებულთა უფლებების და მდგომარეობის შესახებ ცნობიერების ამაღლება, კოალიციის საქმიანობის შესახებ საზოგადოების ინფორმირება.

საანგარიშო პერიოდში საია ასევე აქტიურად იყო ჩართული სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოში საქართველოდან წარსადგენი მოსამართლეობის კანდიდატის შერჩევის პროცესში. ამ მიზნით, საქართველოს კოალიციის წევრებთან ერთად, საიამ არაერთი განცხადება და წერილობითი მოსაზრება მოამზადა. ამ დოკუმენტებში შეფასებულია მთელი რიგი ხარვეზები, რომლებიც ეროვნულ დონეზე მოსამართლეობის კანდიდატის შერჩევის წესის შემუშავებისა და შერჩევის დროს გამოვლინდა.

4

სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება

ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მოსახლეობის მხარდაჭერა

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ, გასული წლის მსგავსად, საანგარიშო პერიოდშიც გააგრძელა ქართული არასამთავრობო სექტორის მხარდაჭერა, ადგილობრივ დონეზე შემოსავლის მომტანი აქტივობების ხელშეწყობა და განვითარებაზე ორიენტირებული მიდგომების დანერგვა ადამიანის უფლებების სიღარიბით გამოწვეული დარღვევების შესამცირებლად. საიას პრიორიტეტს წარმოადგენდა ქვეგრანტების გაცემა და მათი ადმინისტრირება, რა დროსაც ყურადღება ექცეოდა არა მხოლოდ ორგანიზაციების ინსტიტუციურ გაძლიერებას, არამედ, ასევე, სხვადასხვა თემატური მიმართულებით ცნობიერების ამაღლებას და გამოცდილების გაზიარებას.

საიას მიერ გამოცხადებული საგრანტო კონკურსების საფუძველზე, ქვეგრანტები გაიცა შემდეგ მნიშვნელოვან საკითხებზე:

- „თავისუფალ ჟურნალისტთა სახლის“ პროექტი „მაღალმთიანი მუნიციპალიტეტების სოფლების - მახალაკურის, ჩანჩხალოს და ბზუბზუს მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება“. პროექტის ამოცანა იყო, მოსახლეობის მონაწილეობით და შესაბამისი მუნიციპალიტეტების მხარდაჭერით, ქედის სოფელ ბზუბზუს და ხულოს სოფელ მახალაკურში მცხოვრები ოჯახების სასმელი/სარწყავი წყლით უზრუნველყოფა, ასევე, შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩანჩხალოში გარე განათების 20 ბოძის დამონტაჟება, რის შედეგადაც განათდა შიდა სასოფლო გზის 3-კილომეტრიანი სახიფათო მონაკვეთი. ჯამში, ამ პროექტით ისარგებლა 535-მა ადგილობრივმა მცხოვრებმა, იმავდროულად, გაიზარდა ეკოტურისტულად მიმზიდველი სამივე სოფლის შესაძლებლობები.

- „ჭიათურელთა კავშირის“ პროექტი „ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ სვერის საბავშვო ბაღის სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია“. ამ საბავშვო ბაღში სკოლამდელ განათლებას იღებენ სვერსა და ცხრუკვეთში მცხოვრები ბავშვები. ორივე სოფელში, ჯამში, 605 ოჯახი ცხოვრობს. პროექტის ფარგლებში მოხდა შენობის სასმელი წყლის სისტემის და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის სრული რეაბილიტაცია, დამონტაჟდა წყლის ფილტრები. შედეგად, საბავშვო ბაღის აღსაზრდელებს სასმელად ვარგისი, უსაფრთხო წყალი მიეწოდებათ.

- „სამოქალაქო აქტივობების ცენტრის“ პროექტი „ხევსურეთში დაცლის პირას მყოფ სოფლებში ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა“. პროექტის მიზანი იყო ამ სოფლებში მცხოვრები მოსახლეობის ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა ეკოტურიზმის განვითარების გზით, რეგიონის ტურისტული პოტენციალის გაძლიერება და ადგილობრივ თემში შემოსავლის მომტანი აქტივობების მხარდაჭერა. პროექტის ფარგლებში შეიქმნა სამი ახალი ეკოტურისტული მარშრუტი, რომლებიც აისახა საქართველოს ტურისტულ ელექტრონულ რუკაზე. ასევე, გადამზადდნენ ადგილობრივი გამყოლები და გაძლიერდნენ ისინი სათანადო უნარებით, მოინიშნა ახალი ტურისტული ბილიკები და მოეწყო მცირე ინფრასტრუქტურა. შედეგად, დაცლის პირას მყოფი 15 სოფლის მაცხოვრებლები ადგილზევე მიიღებენ შემოსავალს, ხოლო ახალგაზრდებისთვის განვითარების პერსპექტივა გაჩნდება. პროექტის ფარგლებში სოფელ ბარისახოში მოეწყო ფშავ-ხევსურეთის ეკოტურისტული განვითარების ცენტრი, სადაც თავს მოიყრის ყველა ინფორმაცია ფშავ-ხევსურეთის ტურისტული მარშრუტებისა და შესაბამისი მომსახურებების შესახებ. პროექტის მდგრადობის უზრუნველსაყოფად, ახლო მომავალში იგეგმება ცენტრთან სოციალური საწარმოს გახსნა, რომლის მიზანია ადგილობრივი ხანდაზმული ქალების დასაქმება და, მათთვის ახალგაზრდა შეგირდების მიმაგრებით, დაკარგვის პირას მყოფი ტრადიციული რეწვის გადარჩენა-განვითარება.

- „თავისუფალ ჟურნალისტთა სახლის“ პროექტი „შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭვანაში მცხოვრები ახალგაზრდების სოციალურ-ეკონომიკური შესაძლებლობების გაძლიერება“. პროექტის მიზანია მოსახლეობის მონაწილეობით სოფელ ჭვანას სოფლის სახლის რეაბილიტაცია, ამ სივრცეში ალტერნატიული განათლების ცენტრის შექმნა, ახალგაზრდული ინიციატივების მომზადება და ლობირება, მათი განვითარების პერსპექტივის შექმნა და ადგილზე დასაქმება. ტრენინგების დახმარებით ახალგაზრდები შეიძენენ საჭირო უნარ-ჩვევებს და შეძლებენ, თავად შეიმუშაონ სოფლის განვითარებაზე ორიენტირებული პროექტები, მიმართონ დონორებს დაფინანსებისთვის და მონაწილეობა მიიღონ სოფლის წინაშე არსებული პრობლემების გადაჭრაში. ასევე ისწავლიან: ბიზნესგეგმის მომზადებას, საწარმოს ორგანიზაციული ფორმის შერჩევას, ბიზნესსტრატეგიის დაგეგმვას, გუნდის ჩამოყალიბებას, ბიზნესის მართვას, საპროექტო განაცხადის გაკეთებას და ა.შ. ახალგაზრდები დონორებს წარუდგენენ სოფლის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაზე ორიენტირებულ პროექტებს, რაც ხელს შეუწყობს ტურისტულად მიმზიდველი ჭვანას ხეობის პოტენციალისა და საოჯახო ტიპის სასტუმროების განვითარებას, ასევე, ადგილობრივთა ფინანსური შემოსავლების გაზრდას. სოფლის რეაბილიტირებული სახლით სარგებლობა შეეძლება ჭვანას, ცივაძეების და ცხემლისის მოსახლეობას (სულ 150 ოჯახი).

ქვეგრანტები გაიცა ფონდ „პური მსოფლიოსთვის - პროტესტანტული განვითარების სამსახურის“ (BFDW) მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში.

ამ ეტაპზე მიმდინარეობს ქვეგრანტორების შერჩევა შემდეგი მიმართულებებით:

- საჯარო ადმინისტრირების რეფორმის ადვოკატირება/მონიტორინგი;
- პოლიტიკური თანასწორობის ინდექსის შემუშავება და შეფასება.

5

მედიამონიტორინგი

წლებია, საია ლიდერის პოზიციას იკავებს მედიაგაშუქების კუთხით. კვლევითი ორგანიზაცია „აიფიემ რისერჩის“ მიერ მოწოდებული სტატისტიკის თანახმად, საანგარიშო პერიოდში ორგანიზაციის მედიაგამოვლინება რაოდენობრივად ასე გამოიყურებოდა:



სოციალური მედია

საია აქტიურად პოზიციონირებს სოციალურ მედიაში. ორგანიზაცია ყოველდღიურ რეჟიმში აწოდებს მომხმარებელს ინფორმაციას საკუთარი აქტივობების შესახებ. ყველაზე პოპულარულ სოციალურ ქსელ Facebook-ზე საიას 54 000-ზე მეტი გამომწერი ჰყავს.

ორგანიზაცია ასევე აქტიურია ონლაინპლატფორმებზე - twitter, linkedin, Instagram.

6

ფინანსური ანგარიში

საანგარიშო პერიოდში საიამ გრანტის, შემოწირულობისა და საწევროს სახით მიიღო, ჯამში, 2,155,965.22 ლარი, რომელიც წყაროების მიხედვით შემდეგნაირად გამოიყურება:



საწევრო შენატანი	192.00

სხვადასხვა შემოსავალი	309,723.00

საანგარიშო პერიოდში ორგანიზაციაში არაერთჯერად სამუშაოზე დასაქმებული იყო 109 თანამშრომელი, მათ შორის 47 - რეგიონებში. მათი შრომის ანაზღაურების საერთო ფონდმა შეადგინა 2,163,309.01 ლარი. ერთჯერადი ჰონორარი გაიცა 156 პირზე - სულ 183,216.47 ლარი.

კერძო პირების მომსახურების ანაზღაურების, ხელფასებისა და ჰონორარების საშემოსავლო გადასახადმა შეადგინა 496,283.87 ლარი.

საანგარიშო პერიოდში საიამ შეიძინა 36,397.01 ლარის ღირებულების ძირითადი საშუალებები, მათ შორის, 16,450.00 ლარის ღირებულების სხვადასხვა სახის საოფისე ტექნიკა რეგიონებისთვის.

ამავე პერიოდში შეძენილია 42,370.73 ლარის ღირებულების საოფისე დანიშნულების სხვადასხვა მცირეფასიანი ნივთი, მათ შორის, რეგიონებისთვის - 22,105.00 ლარის ღირებულების.

საიას მიერ ორგანიზებული სხვადასხვა სემინარისა და შეხვედრის ჩასატარებლად, როგორც თბილისში, ასევე რეგიონებში, დაიხარჯა 45,258.47 ლარი.

ორგანიზაციის თანამშრომლების, წევრებისა და მოწვეული სტუმრების მგზავრობის ხარჯებმა შეადგინა 135,477.56 ლარი, ოფისების ქირამ - 151,972.93 ლარი, ხოლო კავშირგაბმულობის ხარჯმა - 31,041.50 ლარი, მათ შორის რეგიონებში - 5,626.40 ლარი.

საიას მიერ ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებზე გაცემულმა ქვეგრანტებმა შეადგინა 91,862.01 ლარი.

საანგარიშო პერიოდში ასოციაციის სახსრებიდან მთლიანად დახარჯულია 2,921,926.47 ლარი, რომელიც წყაროების მიხედვით შემდეგნაირად გამოიყურება:



საიას მმართველობის ორგანოები

2020 წლის 1-ლი ნოემბრის მდგომარეობით

გამგეობის წევრები

სულხან სალაძე - თავმჯდომარე
ნონა ქურდოვანიძე - თავმჯდომარის მოადგილე
თამარ აბაზაძე
ქეთევან აბაშიძე
თაია არაბული
ზვიან არძენაძე
ირენა გაბუნია
თამარ გვარამაძე
დიმიტრი გუგუნავა
ნათია კაპანაძე
კახა კოჟორიძე
ვახტანგ მენაბდე
ლევან მოსახლიშვილი
ნიკოლოზ სიმონიშვილი
თამარ ღვალაძე
მიხეილ ღოღაძე
ქეთევან შუბაშვილი
მიხეილ ჯახუა
სოფიო ჭარელი
თამარ ხიდაშელი
ნინო ხუხუა

სარევიზიო კომისია

თამარ სარაჯიშვილი
მალხაზ ვეფხვაძე
ნინო ბიბილური
ნინო სამადაშვილი
ანა კოტეტიშვილი

რეგიონული ოფისების ხელმძღვანელები

აჭარის ფილიალი - პაატა დიასამიძე
ქუთაისის ფილიალი - ზაალ გორგიძე
რუსთავის ოფისი - ეკატერინე ფავლენიშვილი
გორის ოფისი - ქეთევან ბებიაშვილი
თელავის ოფისი - მარეხ მგალობლიშვილი
ოზურგეთის ოფისი - თამაზ ტრაპაიძე
დუშეთის ოფისი - სერგო ისაშვილი
ზუგდიდის ოფისი - ჯანო ჭკადუა

დირექტორთა საბჭო

სულხან სალაძე - თავმჯდომარე
მერაბ ქართველიშვილი - ადამიანის უფლებების პროგრამის დირექტორი
ვახტანგ მენაბდე - დემოკრატიული ინსტიტუტების მხარდაჭერის პროგრამის დირექტორი
ნონა ქურდოვანიძე - სამართლებრივი დახმარების პროგრამის დირექტორი
ირმა პავლიაშვილი - ადმინისტრაციული დირექტორი

დონორები და პარტნიორები

Kingdom of the Netherlands

EAST • WEST MANAGEMENT INSTITUTE
კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში (PROLoG)

SIGRID RAUSING TRUST

USAID
ამერიკელი ხალხისგან

EUROPEAN HUMAN RIGHTS ADVOCACY CENTRE
EHRAC

B | S | T The Black Sea Trust for Regional Cooperation
A PROJECT OF THE GERMAN MARSHALL FUND

Brot für die Welt
Bread for the World – Protestant Development Service

ღია საზოგადოების ფონდი

Norwegian Embassy

ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

British Embassy Tbilisi

EQUAL RIGHTS TRUST

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

- თბილისი

ჯ.კახიძის ქ. №15, 0102

ტელ: + (995 32) 2936101 / 2952353

ელ-ფოსტა: gyla@gyla.ge

- ქუთაისის ფილიალი

მ.კოსტავას ქ. №11, 4600

ტელ: + (995 431) 241192

ელ-ფოსტა: kutaisi@gyla.ge

- აჭარის ფილიალი

ბათუმი, გორგასლის ქ. №89, 6000

ტელ: + (995 422) 276668,

ელ-ფოსტა: batumi@gyla.ge

- გორის ოფისი

სტალინის ქ. №19, 1400

ტელ: + (995 370) 272646

ელ-ფოსტა: gori@gyla.ge

- რუსთავის ოფისი

კოსტავას ქ. №15 ა/5, 3700

ტელ: + (995 341) 255337

ელ-ფოსტა: rustavi@gyla.ge

- თელავის ოფისი

26 მაისის ქ. №13, 2200

ტელ: + (995 350) 271371

ელ-ფოსტა: telavi@gyla.ge

- ოზურგეთის ოფისი

გაბრიელ ეპისკოპოსის ქ. №25/10, 3500

ტელ: + (995 496) 273138

ელ-ფოსტა: ozurgeti@gyla.ge

- დუშეთის ოფისი

რუსთაველის ქ. №29, 1810

ტელ: + (995 346) 221554

ელ-ფოსტა: dusheti@gyla.ge

- ზუგდიდის ოფისი

ლაღიძის ქ. №3 (ყოფილი თაბუკაშვილის ქ. №21)

ტელ: + (995 415) 227770

ელ-ფოსტა: zugdidi@gyla.ge